სოციალ-დემოკრატიული [illegible]                    პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 19 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ხით უნდა გამოგზავნონ [illegible] ყუთი 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).
ტელეფონი 16—62.

№ 150 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 150

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 16 ივლისს ქალაქ თფილისში გარდაიცვალა მღვდელი

**მიხეილ (მიშა) გაგლოშვილი**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს განსვენებულის მეუღლე ოლღა, შვილები: ჟორჟიკა, ზოია, ილიუშა და ლენა, დედა მართა, ძმები: გიორგი და დათიკო და დები: ფეფო და დარო: პანაშვიდი საღ. 8 ს. (ახალი დრო) მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. გამოსვენება პარასკევს 9 საათზე და დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

ღრმათ მწუხარებაში მყოფნი; მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ კილასონიები, ზინა არჩილის ასული კილასონიასი, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგოვაძისა და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ მათთვის ძვირთასი და უსაყვარლესის პირელი შვილის, მეორენი და მეოთხე ძმის, მესამე მაზლისა და მეხუთე ცოლის ძმის, სამხედრო ექიმი

**ანდრო მერაბის ძე კილასონიას**

სულის მოსახსენებლათ წლის წირვა და პანაშვიდი არის კვირას 21 ივლის ახალი სტილით, ქუთაისის მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი 11 საათზე. (2—1)

დედა მართა (იგივე მატა) ოთარის ასული ქვრივი მიქაძისა, აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს 20 ივლისს (ახალი სტილით) ნავთლუღის სატყვეო წმინ. ბარბალეს სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფასი შვილების და ძმის

**ერასტო კიმოთეს ძე მიქაძის**

და

**მარიამ ალექსის ასული შენგელია-ახოგაძის**

წლის მოსახსენებლად. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: მამა გიორგი და და დედინაცვალი მარო, ძმა სერგი ანდღულაძენი, და ნინუცა და სიძე ალფესი, დისშვილები ოლია, მარუსია, აპალონ ებრალიძეები, მამიდა ეკა სიხარულიძე, ბიძები პავლე, ლუკა, მელიტონ, ივანე და ბიცოლები ეკა, ოლღა, ბაბუსი და მარო ანდღულაძეები. ბიძის შვილები გაბრიელ, მელენტი, გერასიმე, ქსენია, პისტი, ქეთო, თამარი, მარუსია და ჟენია ანდღულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ შაბათს 20 ივლისს დილის 11 ს. სოფელ ძიმითში (გურია) წმ. კვირიკეს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი შვილის

**იაკინთე გიორგის ძე ანდღულაძის**

სულის მოსახსენებლათ, რომელიც იყო მტრის ულმობელი ტყვიით მოკლული თათრებთან ბრძოლის დროს სად. სადახლოში. (1—1)

გაუბედურებული მეუღლე ვლადიმერი, გულდამწვარი მაზლი სამსონი (მისგან გამოზრდილი) მაზლის შვილები: გუგუ. ჯვებე და ტოგო მხეიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ მეგობრებს, რომ შაბათს 20 ამა ივლის მცხეთის საკათალიკოზო სობოროში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და იქვე საფლავზე პანაშვიდი უდროვოთ დაკარგულ

**ლიზო გიორგის ასული მხეიძის**

სულის მოსახსენებლად. (1—1)

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს მთავარ შტაბის რეკვ განყ. გამგის ამხ.

**ვლადიმერ სიმონის ძე მხეიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. თერჯოლაში (ზემო იმერეთი). (1—1)

## განცხადება
### თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის

საპედაგოგიო საბჭო ამით აცხადებს, რომ პირველ ენკენისთვიდან ამა 1918 წლისა სასწავლებელში თავისუფალია შემდეგი ადგილები: სასწავლებლის უფროსისა (ინსპექტორისა), ქართული ენის მასწავლებლისა, უფროს კლასებში (5—8 კლ.), რუსული ენისა უფროს კლასებში, ლათინური (კარგია ეს ორი საგანი აიღოს ერთმა პირმა), ფრანგული ენისა, ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებისა უმცროს კლასებში. ჯამაგირი ზემოხსენებულ პირთ მიეცემათ ერთნაირად სხვა საშუალო სასწავლებლებთან. თხოვნები საჭირო საბუთებთან ერთად უნდა გამოიგზავნოს საპედაგოგიო საბჭოს სახელობაზედ. უკანასკნელი ვადა თხოვნების მიღებისა 20 მარიამობისთვე (ახალი წელთ აღრიცხვით). (3—2)

## განცხადება

სად. სამტრედიაში 7 ივლისს საღამოს მატარებლის № 23 შემოსვლის დროს დავკარგე პარტიული მანდატი № 54 მიღებული სუფსის ს. დ. ორგანიზაციისაგან, 2 რევოლვერის მოწმობა, მოცემული ქუთაისის გუბერნიის კომისარ გიორგაძისაგან, 3) ტყავის საფულე სურათით და სხვადასხვა საჭირო საბუთებით. მნახველს ვსთხოვ გამოგზავნოს სად. სუფსაში ნესტორ კახაძეს.

## საჯარო ვაჭრობა

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა წ. 20 ივლისს ქალაქის გამგეობის თანადასწრებით მოხდება

## საჯარო ვაჭრობა

გაიცემა დასამზადებლათ საეტლო ნიშნები, რიცხვით 5800 ცალი 1919 წლისათვის. საეტლო ნიშნების ნიმუშების წარდგენა ც ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილების კანცელარიაში, სამეცადინო საათების განმავლობაში. (2—2)

## ამიერ-კავკასიის დემოკრატიისთვის

ამიერ-კავკასიის ერებს ის მწარე ბედი ეწვიათ, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი თავის შინაგან ძალთა ანაბარათ დარჩენის შემდეგ. მისი შემადგენელი ელემენტები, სახელმწიფოებრივათ ჩამოუყალიბებელნი, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას შეუჩვეველნი, ვერც ერთი მეორეს შეეთვისენ, ვერც საზოგადო, საერთო ინტერესების სიმაღლეზე დადგენ. თუ ამას დაუმატებთ გარეშე ძალის სასტიკ იერიშებს, აშკარა იქნება ის მიზეზები, რომელმაც გამოიწვია ამიერ-კავკასიის დაშლა და ცალ ცალკე რესპუბლიკების დაარსება.

ჩვენ არ გამოვუდგებით იმის მტკიცებას, თუ ვისი ბრალი იყო ეს უმთავრესათ. გაზეთი „სოციალ დემოკრატი“, რასაკვირველია საქართველოს მთავრობას დაადებს ბრალს ამაში: იგი ხომ ამ მიზნით არის გაჩენილი, რომ ამ მთავრობას ებრძოლოს.

მომავალი ისტორიკოსი აღნიშნავს უფრო მეტის ობიექტივობით, თუ რა ძალებმა დაშალეს ამიერ-კავკასია მისთვის საბედისწერო მომენტში. ახლავე შეგვიძლია ხოლოდ ერთის თქმა აუცილებლათ: სოციალ-დემოკრატია თითქმის ერთად ერთი ძალა იყო, რომელიც ამიერ-კავკასიის მთლიანობას იცავდა და მთელი თავის ენერგია მოახმარა მის განხორციელებას.

და თუ მან ეს ვერ შესძლო, მხოლოდ იმიტომ, რომ შინაური გამთიშველი ძალები გარეშე ძალების ზედ დამატებით მაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდენ. სომხის, თათრის და ქართველი ნაციონალისტური ელემენტები, აი მთავარი შინაგანი ძალა გათიშვისა და განცალკევების. და რადგან ეს ნაციონალისტები ბატონობდენ ორ ერში—სომხის და მუსულმანების, ამით პირველ ყოვლისა განისაზღვრა ბედი ამიერ-კავკასიის. მაგრამ ამა თუ იმ ერის, ხელმძღვანელთა მოუმწიფებლობით, თუ მასსის განუვითარებლობით არ იჭრება საკითხი ამ მხარის ინტერესებისა.

სწორეთ გათიშვის შემდეგ უფრო ღრმათ და ნათლათ გამოჩნდა ის, რაც სოციალ-დემოკრატიისთვის წინეთაც აშკარა იყო: სიმრავლე საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებისა.

მართალია გამიჯვნის ხანაში, რომელსაც განვიცდით დღეს, ეს კიდევ არ ეცემა ისე მწვავეთ თვალში ფართე მასსას; მარა ეს მხოლოდ დღეს; ხვალ კი სულ წინააღმდეგს უნდა მოველოდეთ. ამიერ-კავკასიის ერები, ეჭვი არაა, შეიგნებენ ამ მთლიანობას ინტერესებისა და ერთი ერთმანეთისკენ გაიწევენ ძმურათ შესაერთებლათ და ამ შეერთების ფორმების გამოსამუშავებლათ. ის, რაც არ მოხერხდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უფრო ადვილად განხორციელდება ამ მწარე გაკვეთილის მიღების შემდეგ, რომელსაც ერთა ცალ-ცალკე ცხოვრება მოგვცემს.

და სოციალ-დემოკრატია პირველი იქნება, რომელიც ძმურათ ხელის გამოწვდას დაიწყებს და ყველა ერის დემოკრატიის სახელით, პრაქტიკულათ დააყენებს სიკითხს ამიერ-კავკასიის ასე თუ ისე გაერთიანების შესახებ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამიერ-კავკასიას ამ მხრივ აქვს ერთი ცენტრი, ყველასაგან ცნობილი, ესაა თფილისი. ამიერ-კავკასია თითქოს ინსტიქტიურათ მიილტვის ამ ცენტრის გარშემო შემოსაკრებათ, და ყოველთვის მის ბედს იზიარებს.

ეს ცენტრი დღეს საქართველოს რესპუბლიკის ხელშია. იგი მისი სატახტო ქალაქია. ამიტომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ამიერ კავკასიის შეერთებაზე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ აქ იმპერიალისტური ან სხვა მოსაზრებები გვალაპარაკებს; რომ ჩვენ სახეში გვაქვს ვინმეს დაპყრობა, დამორჩილება და სხ. დღევანდელ დროში ხომ ყოველგვარი, წარმოუდგენელ ბრალდებასაც ადვილათ წამოისვრიან ხოლმე თუნდა ყოვლად უდანაშაულო ორგანიზაციის წინააღმდეგ.

ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვგულისხმობთ შეერთებას, ნაკარნახებს დემოკრატიის ინტერესებით, შეერთებას ერთა სოლიდარობის და მშრომელთა კლასის მისწრაფებით გამოწვეულს, შეერთებას თანხმობასა და მორიგებაზე დამყარებულს და არა იარაღსა და დაპყრობაზე.

ჩვენ გვწამს, რომ ასეთი დრო დადგება, რომ ასეთი ხანა არც ისე შორსაა. რევოლიუციურ ეპოქაში უფრო სწრაფათ ხდება ადამიანთა აზროვნება, შეგნების განვითარება, საერთო ხაზის გამონახვაც, ისე, როგორც გათიშვა.

არ გვინდა წინდაწინვე აღვნიშნოთ ფორმები ამ შეერთების. ჩვენ ხაზს ვუსვამთ მხოლოდ ამის შესაძლებლობას და სასურველობას თვით ამ კუთხის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ინტერესების მიხედვით.

ხოლო რა ფორმებში მოხდება შეერთება, ეს დამოკიდებულია მრავალ მიზეზებზე, როგორც შინაურსა, ისე გარეშეზე. ჩვენი სურვილია ეს ფორმა ნებაყოფლობითი შეერთების ფორმა იყოს. ფედერაცია ამიერ-კავკასიის—ესე იგი აღდგენა იმისა განახლებული სახით, რაც ასეთი ულმობელობით, ასე უდროოთ შთანთქა ამ რამდენიმე თვის წინეთ ისტორიის ბედის ტრიალმა.

და როცა ჩვენ ვამყარებთ რესპუბლიკას საქართველოს ტერიტორიაზე, არასოდეს არ ვივიწყებთ კავკასიის ერების ამ ერთათ ერთ მომავალ ფორმას, რომელსაც შეუძლია დემოკრატიის ინტერესების სავსებით დაკმაყოფილება. შეერთება სხვა სახით, ძალდატანებით, ან უცხო ძალის გავლენითი იქნება მხოლოდ დიდი ხნით დასამარება ფართო მასსის, დემოკრატიის ინტერესებისა.

დემოკრატიამ უნდა შეიგნოს ეს და სხვადასხვა გზით სვლას, თავის შინაური მთლიანობის აღდგენა არჩიოს.

## პრესა

„ტრუდოვოე ზნამია“ ღრმათ დარწმუნებულია, რომ მსოფლიო დემოკრატიის ბედი ერთიანად დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებობაზე. ეს პატარა ხალხი თავის პატარა დამოუკიდებლობით თურმე მთელი ქვეყნის დემოკრატიას ემუქრება გაუბედურებით. და გაზეთი, როგორც ინტერნაციონალური ინტერესების საუკეთესო დამცველი, მთელი თავის ძალღონით ცდილობს ეს პატარა რესპუბლიკა კვლავ დიდი რუსეთის პროვინციად აქციოს.

აი ამით აღდგება თურმე ინტერნაციონალი!

თქვენ არა გჯერათ?

აიღეთ „ტრუდოვოე ზნამიას“, რომელი ნომერიც გინდათ; გადაიკითხეთ რომელი წერილიც გინდათ, და უეჭველათ დაინახავთ: კართაგენი უნდა დაინგრეს. ჩვენებურათ: საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გაუქმდეს.

რატომ მარტო საქართველოსი და არა სომხეთის, აძერბეიჯანის, უკრაინის, თვით რუსეთის და სხვ., ამაზე თქვენ პასუხს ვერ მიიღებთ.

ოღონდ საქართველო კი უნდა გაუქმდეს.

ქარუმიძემ შეკითხვა შეიტანა საბჭოში, უცხო გაზეთები რომ აგიტაციას ეწევიან თქვენს წინააღმდეგ, რატომ არ დახუჭავთო.

მთავრობამ საკადრისი პასუხი გასცა, სიტყვის თავისუფლებას არ ვეხებით, მხოლოდ სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს არსებობის წინააღმდეგ, რომ იბრძოდენ და საბრძოლველათ უწოდებდენ ხალხს, ამას კი არ მოვითმენთო.

„ტრუდოვოე ზნამიას“ ერთ-ერთ წინაპარს მოხვდა რეპრესიების სუსხი ამ მიზეზითო.

ეს საკმარისია გაზეთისთვის, რომ იგი განგაშით მოგვდგეს: „თქვენ არ ამბობდით, იძულებითი აქტი იყო ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაო“, მაშ რადათ იცავთ მას ახლა, მოგვეცით დასანგრევათო.

უნდა მოვახსენოთ ამ არა-მკითხე მრჩევლებს, რომ ჩვენ თუ მივიღეთ ეს დამოუკიდებლობა, იმისთვის კი არა, რომ იგი ხვალ დავანგრიოთ, არამედ იმისთვის, რომ მაზე დავეყრდნოთ, გავმაგრდეთ და დემოკრატიის ინტერესები ამით უზრუნველვყოთ.

ცხადია ახლა ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ განგაში, ნიშნავს არა ტაქტიკურ ლაჯას, არამედ ერის მთელი სხეულის დანგრევას.

და ჩვენ ამას ვერასოდეს ვერ დავეთანხმებით. ჩვენ ისტორიულმა აუცილებლობამ მიგვიყვანა საქართველოს დამოუკიდებლობამდე და დღეს ამ ნიადაგზე ვმაგრდებით, აქ გვინდა განვახორციელოთ დემოკრატიის მისწრაფებები.

„ტრუდოვოე ზნამია“ კი ებრძვის მთელ ამ შენობას, აღწევს იმას, რასაც ადგილობრივი დემოკრატია ქმნის და ამით სამსახურს უწევს მხოლოდ იმ საშინელ რეაქციას, რომელიც პირდაღრენილი შესცქერის ამ ერთათ-ერთ კუთხეს, რომელიც ჯერ გადაუყლაპავი დაურჩა. ესმით თუ არა „ზნამიას“ ხელმძღვანელებს, რომ ობიექტიურათ ისინი სწორეთ ასეთ მიზანს ემსახურებიან?

## სურსათის კითხვა

სასურსათო კითხვას დღევანდელ პირობებში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს ჩვენი მთავრობის მოქმედებით წესრიგში. სასურსათო მდგომარეობა, კერძოთ პურის კითხვა, იმდენად გამწვავებულია, რომ თუ მალე და წინდახედვით არ მოწესრიგდა იგი, ჩვენი ქვეყანა განსაცდელში ჩავარდება.

სასურსათო სამინისტროს დაევალა ფრიად მძიმე და რთული საქმე. მას მოეთხოვება სიფრთხილე, აწონ დაწონვა და ცხოვრების პირობების შესაფერი ნაბიჯი ხორბლის შეძენის და განაწილების საქმეში.

„ერთობა“ მოწინავე წერილში (№ 143) ეხება რა ამ კითხვას, გამოსთქვამ აზრს, რომ საქართველოს საზღვრებში უნდა იყოს თავისუფალი ვაჭრობა და გაუქმებული მონოპოლია.

მონოპოლია რომ უნდა გაუქმდეს, ეს სრული ჭეშმარიტებაა, რადგან ჩვენ არ შეგვწევს არც ძალა, არც უნარი მის განსახორციელებლათ. მხოლოდ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონოპოლიის მოსპობას კიდე არ მოსდევს ლოღიკურათ გამოცხადება განუსაზღვრელი თავისუფალ ვაჭრობისა. შეიძლება სახელმწიფოში არ არსებობდეს მონოპოლია, ყოველ მოქალაქეს ეძლეოდეს უფლება ყიდვა გაყიდვის, მხოლოდ ვაჭრობის პირობები იყოს შეზღუდული, მოთავსებულ ერთგვარ კანონიერ საზღვრებში დროსა და ცხოვრების განსაკუთრებულ პირობების მიხედვით.

ჯერ ისევ მშვიდობიან დროს, იმ დარგშიაც, სადაც მონოპოლია არ ყოფილა შემოღებული, კანონი სასტიკად სდევნიდა ყოველ ბოროტად გამოყენებულ ვაჭრობის უფლებას, ლაგამს სდებდა მადა გახსნილ სპეკულიანტებს, მევახშეებს.

ამგვარად იყო ერთგვარი თავისუფლება ვაჭრობისა, მაგრამ იმავე დროს იყო განსაზღვრულ კანონიერ კალაპოტში თუ ასე ხდებოდა მშვიდობიან დროს, მით უფრო აუცილებელია ეს დღევანდელ პირობებში.

დღეს პური, ხორბალი იჭერს ფულის ადგილს, წარმოადგენს იმ ეკვივალენტს, რომელზე თავისუფლად და ადვილად იცვლება ყოველივე საქონელი. გამოაცხადეთ **სრული თავისუფლება** პურით ვაჭრობისა, ესე იგი მიეცით ნება და უფლება ყველას იყიდოს ხორბალი, ფქვილი როგორც და რამდენს მოინდომებს და მალე დაინახავთ, რა საშინელი აჟიოტაჟი გაჩაღდება ამ ნიადაგზე. ისარგებლებს ვინც მდიდარია სხვადასხვა საქონლით ან ფულით. ეცემიან პურით მდიდარ რაიონებს და ერთი თვალის დახამხამებაზე გასცლიან ამ რაიონს, ამგვარად დაამშევენ სოფელს და სამაზრო ქალაქებს. ხელში ჩაგდებულ დიდძალ ხორბალს აქცევენ თავის მონოპოლიათ და შეიქმნება საშინელი სპეკულიაცია.

ამგვარ მოვლენას უკვე აქვს ადგილი თელავის მაზრაში. აქ მოაწყდა სპეკულიანტები ფულით და საქონლით, აღდგენენ კავშირს ადგილობრივ მევახშეებთან და ხელში იგდებენ ხორბლის პატრონთ სოფლებში (ზოგგან კოდი პური ავიდა 300—400 მანეთამდე).

აი საით მივყავართ შეუზღუდავ ვაჭრობას.

რა გამოსავალი გზაა აქედან?

დაბა ქალაქებში, სადაც არსებობენ ქალაქის თვითმართველობები, კოოპერატივები, ბანკები, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, მუშათა საბჭოები, ყველა ამათ უნდა შეადგინონ მაზრის ერთი სასურსათო ორგანო, როგორც ეს უკვე მოაწყეს თელავში. ამ ორგანოს ეკისრება როლი რეგულატორისა ხორბლის შეძენის და განაწილების საქმეში.

მიეცემა ყოველ მოქალაქეს უფლება ფქვილის თუ ხორბლის შეძენის განსაზღვრული ნორმით თავის ოჯახის მოთხოვნილებათა მიხედვით, მხოლოდ თუ ამ მოქალაქეს ან რომელიმე სახელმწიფოებრივ დაწესებულებას (მაგ. სამხედრო უწყებას, სახალხო გვარდიას) მოუნდება შეძენილი ხორბლის გატანა მაზრის საზღვრებიდან, ეს უნდა მოხდეს ამ მაზრის სასურსათო ორგანოსთან შეთანხმებით. ამით სასურსათო ორგანოს მიეცემა საშუალება ადევნოს თვალი და სასტიკათ ებრძოლოს სპეკულიანტებს. როდესაც ხსენებული ორგანო ადგილობრივი ადმინისტრაციის დახმარებით შეკრავს მაზრის გასმვალ გზებს, იშვიათათ გაუძვრება სპეკულიანტი, რომელიც ეცდება ნებადაურთველათ, ქურდულათ გაიტანოს დიდძალი პური. გარდა ამ სპეკულიანტებთან ბრძოლისა სასურსათო ორგანოებს დაეკისრებათ თითონაც შეიძინონ ხორბალი თუ ფქვილი გაცვლით ან ფულზე, მიაწოდონ დამშეულ რაიონებს და მაზრის ქალაქებს და დაეხმარონ საზოგადოებას და სახელმწიფო დაწესებულებებს (მუდმივი ჯარი, სახალხო გვარდია და სხვა) პურის შეძენაში.

ყველა მაზრის სასურსათო ორგანოებმ უნდა დაექვემდებარონ სასურსათო სამინისტროს, რომელიც შეეცდება მიეგებოს მათ ფულით თუ საქონლით და აღმასრულებელ ძალებით და მათთან ერთად მოაწესრიგოს პურის შეძენის და განაწილების საქმე.

ასე, ნუ იქნება შემოღებული მონოპოლია, მაგრამ ნურც თავისუფლება პურით ვაჭრობისა. 

კ. კახელი.

### რედაქციისაგან

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით კ. კახელს, რომ დღეს შეუძლებელია როგორც პურის მონოპოლიის შემოღება ისე ვაჭრობის შეუზღუდავი თავისუფლებაც.

მაგრამ კ. კახელის მიერ ნაჩვენებ ზომების მოწონება არ შეგვიძლია. პურის საკითხში თავი და თავი ის არის, რომ საქართველოს არ მოყავს საყოფი პური და სანამ მთავრობა ვერ უზრუნველჰყოფს საზღვარ-გარეთიდან პურის შემოტანას, მანამდე ჩვენში პური არ გაიაფდება და მაშასადამე, სპეკულიაციასაც ალაგი ექნება. რაც შეეხება შინაურ პურს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა დავუშვათ თავისუფალი ვაჭრობა და გადატან-გადმოტანა პურისა, როგორც საერთო წესი. მაგრამ უნდა მივიღოთ ზომები სპეკულიანტებთან საბრძოლველად. და ამისთვის კი სულაც არ არის საჭირო და სასარგებლო ისეთი სამაზრო ორგანიზაციები, რომელნიც ფაქტიურათ მონოპოლისტობას აპირებენ მაზრის ფარგლებში. ეს იმიტომ, რომ პურის ყიდვის საქმე თუ უკვე დაგვიანებული არ არის, ჩქარა უნდა გადაწყდეს, რადგან ჩვენ თუ ყიდვაა, ახლავე უნდა ვიყიდოთ პური მსხვილი მეურნეებისაგან, თორემ როცა პურს ოჯახებში მოათავსებენ, იქიდან ჩვენ ვერაფერს გამოვიტანთ. სამაზრო სასურსათო კომიტეტები კი გულისხმობს მუდმივ ორგანიზაციას, რომელიც რაკი პურს ვერ იშოვის, იძულებული გახდება მცხოვრებლებს ჩაუდგეს კრიჭაში და გაიმეოროს ის შევიწროებები, რომელსაც დღეს აქვს ადგილი. მით უფრო გაუგებარია კ. კახელის რჩევა: სამაზრო კომიტეტებმ უნდა დართონ ნება მაზრის საზღვრებიდან ხორბლის გატანისა. სწორეთ ასეთი წესი შეუწყობს ხელს სპეკულიაციას, რომელსაც ამ შემთხვევაში სასტიკი კანონიც კი ვერას დააკლებს.

ამ აკრძალვით თქვენ ალაგმავთ არა სპეკულიანტებს, არამედ უბრალო მცხოვრებლებს. ხოლო სპეკულიანტები პურს ისე გაზიდავენ, როგორც აქამდე.

განა შეიძლება საქართველოს რესპუბლიკა, რომელიც ძლივს ორ გუბერნიას უდრის, დავყოთ ცალკე სამთავრობებათ და თვითეულ ნაწილს შემოვავლოთ ზღუდეები? ასეთი უფლებების მინიჭება მაზრებისათვის ყოვლად შეუძლებელია...

სასურსათო კომიტეტებს შეიძლება მივცეთ დახმარება, მივანიჭოთ უპირატესობა, მივაწოდოთ სასოფლო საქონელი, პურზე გასაცვლელათ, მაგრამ ისეთ წესების შემოღების ნებას კი ვერ მივცემთ.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

18 ივლისი.

**ბერლინი.** იპრის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა წამოიყვანეს ტყვეები. ებიუტერნის სამხრეთ აღმოსავლეთით მტრის იერიშები უშედეგო იყო. შტო დიერის დასავლეთით და ვერტემონტის სამხრეთ დასავლეთით ჩვენ სიურმელინის ხაზამდე წავიწიეთ. მარნის სამხრეთ ნაპირად მტერი დიდი ძალებით მოვიდა ჩვენზე იერიშით. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მარნის ჩრდილო ნაპირად ჩვენ სამხედრო მოქმედება განვავითარეთ. არდრას ორივე ნაპირიდან მტერი მანტეილის მაღლობებში გავრეკეთ. რეიმსის აღმოსავლეთით ცვლილება არ მომხდარა. მენტეილის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენ დავაკავეთ ახალი პოზიციები. ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი 18 ათასამდე აღწევს.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. იორდანის პირის რაიონში ორივე მხრით საარტილერიო სროლაა. მტრის იერიში იორდანის ნაპირად მოვიგერიეთ. მთელს ფრონტზე საჰაერო ბრძოლაა.

**პარიზი.** საფრანგეთის პრესა ერთხმად ადასტურებს, რომ გრაფ გერტლინგის სიტყვა ამტკიცებს გერმანიის პოლიტიკის უცვლელობას და აგრეთვე რეიხსტაგსა და მთავრობის შორის სრული თანხმობა სუფევსო.

**კიევი.** სამშაბათს გალფის ციხე დარბაზში დაკრძალეს მოსკოვში მოკლული გრაფ მირბახის ცხედარი. დაკრძალვას დაესწრო რუსეთის საბჭოთა მთავრობის დეპუტაცია გენ. ლეიტენანტის სერგეი ოდინცევის მეთაურობით, რომელიც წინეთ კავკასიის მესამე დივიზიის უფროსად იყო, ახლა კი რუსეთის საზავო დელეგაციის წევრია კიევში.

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა 9 ივლისს გაიხსნა სამხედრო მინისტრ ტროცკის მოხსენებით სოციალისტ რევოლიუციონერთა აჯანყების ჩაქრობის შესახებ. ტროცკიმ აღიარა, რომ ახლა რუსეთში არც ერთი კაცი არ მოიპოვება, რომ გერმანიასთან ომის განახლების მომხრე იყოსო. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს გრაფ მირბახის მკვლელთა სასტიკად დასჯას.

**მოსკოვი.** მოსკოვის გაზეთების ცნობით საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს სიზრანი და ბუგულმა. საბჭოს ჯარების ხელშია აგრეთვე ნიკოლაევის რაიონი. ჩელიაბინსკ-ეკატერინბურგის ფრონტზე ჩეხო-სლოვაკებს შორის უკმაყოფილებაა მეთაურების წინააღმდეგ. იაპონიასა და ციმბირის მთავრობას შორის მოლაპარაკებას ხანგრძლივი ხასიათი მიეცა, ვინაიდან იაპონიის პირობები მიუღებელი აღმოჩნდა.

**მოსკოვი.** გაზეთ „ნოვაია ჟიზნს“ მოჰყავს ამერიკის ელჩის განმარტება ამერიკულ ნაციონალურ საბჭოს შესახებ, სადაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ვილსონს არ შეუძლია გულგრილად უცქიროს იმ მოვლენას, თუ როგორ მიითვისეს ნემცებმა რუსეთის მთელი სიმდიდრეო.

**სტამბოლი.** ბოსფორში მოვიდა საზღვარ-გარეთ მოგზაურობიდან ოსმალეთა სამხედრო გემები „იავუსი“, „სულთან სელიმი“, „გამიდიე“, კრეისერი „მეჯიდიე“. 1916 წლის მარტის თვეში „მეჯიდიე“ ოჩაკოვის ახლოს ნაღმს წააწყდა და დაზიანდა, მაგრამ რუსებმა ის შეაკეთეს და მებრძოლ ერთეულად გადააქციეს. გერმანელების მიერ სევასტოპოლის აღების შემდეგ ეს კრეისერი გერმანელების საკუთრება გახდა.

**გერმანიის** რადიო დეპეშა იუწყება ინგლისიდან მიღებული არა ოფიციალური ცნობების მიხედვით ინგლისში მოსავალს კარგი პირი არ უჩანსო.

**ვაშინგტონი.** სენატმა მიიღო პარლამენტის მიერ მოწონებული კანონ-პროექტი, რომლითაც ტელეგრაფი და ტელეფონი სახელმწიფოს მხედველობის ქვეშ იმყოფება.

**ბერლინი.** ინგლისის წყლებში გერმანელთა წყალ-ქვეშა ნავებმა გაანადგურა 16,500 ტონის წყალწყვა სავაჭრო გემები.

**ბერლინი.** ბერლინში მყოფმა ოსმალეთის ელჩმა ხაკი-ფაშამ „ნეიე-ფრეიე პრესეს“ წარმომადგენლებთან საუბრის დროს გამოსთქვა იმედი, რომ ყველა გადაუჭრელ საკითხებში ოსმალეთი და ბოლგარია შეთანხმდებიან.

ოსმალეთის ცენტრალურ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების შესახებ ელჩმა სთქვა, რომ დამოკიდებულებამ ამ სახელმწიფოთა შორის მტკიცე ხასიათი მიიღო. ეს კავშირი ომის შემდეგ არა თუ ჩაიფუშება, არამედ—იქნება ხანგრძლივი და მტკიცე. ეკონომიურ დამოკიდებულების შესახებ ელჩმა ის აზრი გაატარა, რომ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი ოსმალეთს არ უცქერიან, როგორც საექსპლოატაციო საგანს, არამედ —ცდილობენ ეკონომიურად მის გაძლიერებას. საფრანგეთში ბრძოლის შესახებ მან სთქვა, რომ საფრანგეთი შეიძლება დამარცხებულ იქნას, მაგრამ დიდი ბრიტანეთი მაინც ფარს არ იტყვის ომის განგრძობაზეო. ამიტომ საჭიროა ინგლისის დამარცხება, აუცილებლივ ინგლისის აზიის სამფლობელოებში დამარცხება, რომ საბოლოოდ დაეცეს იქ მისი პრესტიჟი. თუ დღემდე ჩვენ ვიმარჯვებდით, ეს იმის მომასწავებელია, რომ აზიაშიაც შევსძლებთ ინგლისის დამარცხებას. არ შეიძლება საბოლოოთ ზავის შეკვრა, ვიდრე ამას ინგლისი არ მოისურვებსო. უკეთუ ინგლისი ფარს იტყვის ომის წარმოებაზე, ჩრდილო-ამერიკა ვერას გახდება. ამიტომ მე მიმაჩნია საყოველთაო ზავის საქმე უზრუნველყოფილი იქნება, თუ ინგლისი დავამარცხეთ აღმოსავლეთშიო.

# უკანასკნელი ცნობები

**საქართველოს სამხედრო გზა.**

(ბოლშევიკების საუბარი).

საქართველოს სამხედრო გზის ჩვენი ჯარის მიერ დაკავების შემდეგ სადგურის წიგნებში შემდეგი საუბარი აღმოჩნდა ჩაწერილი, რომელიც ბოლშევიკურ შტაბებს თუ სხვა დაწესებულებებს ერთმანეთში ჰქონდათ პირდაპირი მავთულით თუ სხვა საშვალებით.

10 ივლისი. ბალტა კავკავი. სიდოროვ, ნება მოგვეცით კობისთვის გადატაროთ 50 ფუთი სიმინდი. ტელეფონთან ჯარიახ ბალტა-კავკავია. როტა მოვიდა გამოსაცვლელად? პასუხი: 1 ბატალიონის მეოთხე როტა მოვიდა ავტომობილებით. გვეკითხებიან საკვებს თუ მოგვცემენო.

როტა მოვიდა, ტყვიისმფრქვეველი არ არის. ტყვიისმფრქვეველთა მსროლელი გამომცვლელი ხალხი არ არის. ჩვენც ჩავაბარებთ ტყვიისმფრქვეველს და წავალთ.

ტელეფონთან ლარსი—კავკავი. 3 და 4 როტა გამოსცვალა. მათთვის სასმელ-საჭმელი არ არის.

მე მინდა დაველაპარაკო ჯარების მთავარსარდალს ეგოროვს. პასუხი: ის აქ არ არის, ის პოზიციაზე წავიდა პიატიგორსკში.

ჯარიახ—ბალტა. ტყვიისმფრქველთა მსროლელნი მოდიან აქეთ თუ არა? ბალტა: არა. ჯარიახი: რისთვის? ბალტა: არ ვიცი. ჯარიახი: გესმის, ჩვენ აქ უპუროთ ვართ, დავტოვებთ ყველაფერს და წავალთ.

ლარსი—ბალტა: ბალტა, გესმის? ტყვიისმფრქვეველის მსროლელები აქ მოდიოდენ, არ მოსულან რედანტამდე—უკან გარბოდენ. ტყვიისმფრქვევლები არც ერთი არა გვაქვს, ყველა წაღებულია. ლარსი: ჩვენც აქედან წავალთ. შიმშილით თავს ხომ არ მოვიკლავთ აქ.

ტელეფონოგრამმა № 22, კავკავი. შტაბს. ტყვიისმფრქვეველთა მსროლელებმა დასტოვეს თავიანთი სადარაჯოები. სად. ბალტაზე, ჯარიახს და ლარსზე გთხოვთ გამოგზავნოთ სხვა ხალხი. მეოთხე როტის კომისარი კურდიუკოვი.

კავკავი, ტელეფონ. № 25. გარნიზონის უფროსს ტყვიისმფრქვეველთა მსროლელებმა დასტოვეს სადარაჯოები ჯარიახში, დარჩა 12 კაცი; ლარსში—30. მსროლელები არა გვყავს. გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, რომ ამაღამვე გამოგზავნოთ ტყვიისმფრქვეველთა მსროლელნი. ტყვიისმფრქველებითურთ საქართველოს სამხედრო გზაზე. მეოთხე როტის ინსტრუქტორი სერდიუკოვი. ტელ. № 1. ჯარების სარდალს. 10 ივლისი. გაუწყებთ რომ კავკავთან ტელეფონი არ მუშაობს.

ზედამხედველი პოპოვი

ბალტა—ლარსი. პოპოვო, გესმის? ტელეფონოგრამას ნუ გადმოგვცემ. ჩვენ ნავთი არ გვაქვს და ახლა დასაძინებლათ ვწვებით. ამის შემდეგ მეტს შენთან აღარ ვილაპარაკებ.

ჯარიახ—ლარსი. ჯარიახი. ჩვენთან მოვიდა ბაკსანის რაზმი 5 კაცისაგან გამოსაცვლელათ. ჩვენ უნდა ვიდარაჯოთ ციხეში და დავიცოთ სადარაჯო. ჩვენ ორი დღე-ღამეა მშიერნი ვართ.

ტელეფონოგრ. № 23 ბალტიდან კავკავში. 1 ბატალიონის უფროსს. ვინაიდან ტყვიისმფრქვეველთა მსროლელებმა სადარაჯოები დასტოვეს სად. ბალტაში და ჯარიახში, გთხოვთ გამოგზავნოთ სხვები. მეოთხე როტის უფროსი შევიაკოვი.

11 ივლისი. კავკავი—შტაბს. ჯარისკაცების უმრავლესობას ხელთ აქვთ 30 ტყვიამდე და არა უმეტეს 100 ტყვიისა. გთხოვთ გამოგზავნოთ ბალთაში 3 ფუთი ტყვია.

მეოთხე როტის ინსტრუქტორი სევერიუკოვი.

ლარსი—ბალთა: ტყვიისმფრქვეველები არ არის ლარსში, ჯარიახში და ბალთაში. ლარსში გამოგზავნილი ყოფილა როგორც სჩანს კავკავიდან 2 ტყვიისმფრქვეველი; ჯერ არ მიგვილია.

11 ივლისი. კობი კავკავი. კობი: გვიპასუხეთ, ქართული რაზმი კავკავიდან მოდის თუ არა? პასუხი: არ ვიცი. წავალ, გავიგებ და გაცნობებ. პასუხი: ქართული რაზმი წამოვიდა დილამის 6 საათზე. შეკითხვა: ქვეითად თუ ავტომობილებით? პასუხი: არ ვიცი. ყაზბეგი კობი. რა ამბავია თქვენთან ახალი? კობი: ახალი არაფერი არ არის. ყაზბეგი: პოზიციებიდან რა ამბავი მოდის? კობი: საქმე არ არის კარგათ. კავკავიდან დამხმარე ძალას არ გვიგზავნიან. მოგვიხდება აქაურობის დატოვება და ჯვრის უღელტეხილზე გამგზავრება. შემდეგ ენახოთ რა იქნება.

**ბაქოს ფრონტი.**

სომხეთა ეროვნულ საბჭოს განჯიდან ატყობინებენ: ბაქოს ფრონტიდან ჩამოჰყავთ აუარებელი დაჭრილები. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ოსმალეთის მთავრობამ განცხადებები გამოუშვა სომხეთა იარაღის აყრის შესახებ. თავისი ნებით იარაღის ჩასაბარებლათ მიცემულია 10 დღის ვადა.

**ლ ტ ო ლ ვ ი ლ ე ბ ი.**

შინაგან საქმეთა მინისტრი აუცილებელ საჭიროებათ სცნობს საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ლტოლვილები არ იქნენ შემოშვებულნი. ისინი კი, რომელნიც დღეს საქართველოს რესპუბლიკაში იმყოფებიან, უნდა მოათავსონ ლტოლვილებისათვის დაარსებულ ცალკე პუნქტებში.

# ცოტა რამ საფრანგეთის ფინანსიურ ოლიგარხიაზე

(დასასრული)

ვინ არიან ის პირები, რომელთაც ოფიციალურ ენაზე პუბლიკაციის გამგეები ეწოდებათ? ეს უმეტეს შემთხვევაში ოფიციალური პირებია, რომელთაც დიდის პატივისცემით ეპყრობიან მთელს საფრანგეთში. ეს პირები ერთი მწერლის თქმით, წარმოადგენენ მთელ საზოგადოებრივ ფუნქციას. ეს პრესსის გამრყვნელნი ინტიმიურ დამოკიდებულებაში არიან მინისტრებთან. ამ უკანასკნელთა კარები მათთვის მუდამ ღიაა, მთავრობა ამ ვაჟბატონებს ორდენებით აჯილდოვებს. 1906 წ. ის პირი, რომელმაც გაანაწილა გაზეთთა შორის რუსეთის ფონდი დაჯილდოვებულ იქნა საპატიო ლეგიონის ორდენით.

ისეთი გავრცელებული გაზეთები, როგორიც არის „ფიგარო“, „ჟურნალ“-ი, „მატენი“, არსებობენ მხოლოდ და მხოლოდ იმ სუბსიდიების წყალობით, რომელთაც ისინი იღებენ ფინანსიურ წრეებიდან. პარლამენტის კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო ბანკირი როშეტის საქმის გამო ამ რამოდენიმე წლის წინეთ ჟორესის თავმჯდომარეობით, გამოარკვია, რომ ფინანსიური აფერისტები საფინანსო ოპერაციების მოგვარების გამო, იძულებულნი არიან გავლენიან გაზეთებს აძლიონ 40 პროც. მოგებისა!

ოქტავი მირბო, საფრანგეთის დიდი მწერალი. დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა გაზეთ „ჟურნალ“-ში. ბოლოს და ბოლოს მან ვერ გასძლო ამ ქუჩურ გაზეთში თანამშრომლობა, და როდესაც გაზეთს თავი გაანება სასოწარკვეთილებით ეკითხებოდა მკითხველს: „იცით თუ არა, რომ მე ცხრა წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდი გაზეთ „ჟურნალ“ში? განა შესაძლებელი იყო ამ ქუჩურ გაზეთში თანამშრომლობა ისე, რომ არ უარმეყო ჩემი წმინდა იდეები?

მაგრამ მოსყიდვა არ განისაზღვრება მარტო პრესით, მოსყიდვა ვრცელდება მთავრობაზედაც. განა საფრანგეთში შესაძლოა ერთ თვესაც იარსებოს რომელიმე მთავრობამ, რომელიც წინ გადაეღობება და ხელს არ შეუწყობს საზღვარგარეთელ სესხის მოგვარებას? თვით კლემანსო, რომელიც მოუსყიდველ პიროვნებათ ითვლებოდა მთელს საფრანგეთში და რომელიც მთელი წლების განმავლობაში წინააღმდეგი იყო, რომ საფრანგეთს რუსეთისთვის სესხი მიეცა, ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა ყოვლად შემძლე ფინანსიურ ოლიგარხიას. მპერმეტყველ დრეიფუსის დამცველმა ოლიგარხიის წინ თავი მოიხარა და პრესაში აგიტაცია გასწია, რომ რუსეთს სესხი მისცემოდა. ამ აგიტაციისთვის ცოტაოდენი გასამრჯელოც მიიღო... სულ რამოდენიმე მილიონი და მოკლე ხანში პრემიერ მინისტრის პორთფელიც. როგორც ვნახეთ ფინანსიურ ბობოლებს ხელთ უპყრიათ მილიარდები, მთელი გავლენიანი პრესა, კიდევ მეტი, რესპუბლიკის მთავრობა მათ მიერაა დაყ ნებული, ერთი სიტყვით დემოკრატიულ რესპუბლიკას ბედ-იღბალს ერთი მუჭა ფინანსისტთა ჯგუფი განაგებს.

ი. სალაყაია.

# ახალი ამბები

საქართველოს ეროვნული საბჭო. დღეს, 11 საათზე, შესდგება ეროვნულ საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება.

✦ ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარისადმი: „ვუბრძანებ ყველა აფიცრებს და სამხედრო მოხელეებს, რომელნიც სამსახურში არ არიან, ნუ ატარებენ აფიცრის და სხვა სამხედრო ფორმას. აფიცრები და სამხედრო მოხელეები, რომელნიც სამსახურში იმყოფებიან, ვალდებულნი არიან ატარონ პირადი მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით. აფიცრები, რომლებიც სამსახურში არ არიან და სამხედრო ფორმის ტარების უფლება აქვთ, უნდა მიიღონ სათანადო მოწმობა გარნიზონის უფროსისაგან“. ბრძანებას ხელს აწერს გენ. ანდრონიკაშვილი.

✦ **თფილისის დამცველი შტაბის** თავმჯდომარე აცხადებს, რომ თანახმად აღმასრ. კომიტეტის დადგენილებისა შტაბი გაუქმებულია. სამხედრო ადმინისტრატიული ხასიათის ფუნქციები გადაეცა კომენდანტის სამმართველოს, სამოქალაქო ადმინისტრატიული ხასიათისა—მილიციის უფროსის სამმართველოს. შტაბის სამხედრო სასამართლოს განყოფილება იმყოფება ბრალმდებლის ზედამხედველობის ქვეშ. ამიტომ ყველა ზემო ჩამოთვლილ საქმეებზე უნდა მიმართონ აღნიშნულ დაწესებულებებს.

✦ **გარნიზონის უფროსმა** დაატყვევა ბრძანების შეუსრულებლობისათვის: ჯარისკაცები გ. ციპურაშვილი და არჩ. ჯიჯუაძე თავის ნებით სამსახურიდან წასვლისათვის ჯარისკაცი ნ. ტატიშვილი.

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** ცირკულიარი დაუგზავნა თფილისის და ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის კომისრებს. 1) დაუყონებლივ განკარგულება მოახდინონ, რომ კომიტეტებმა და კომისრებმა შეიტანონ ის ფული, რომელიც მათ მოაგროვეს გლეხებისაგან მიწისა და ტყის სარგებლობის გამო. 2) აეკრძალოს მათ მომავალში თავის ნებით ფულის გაწერა მიწისა და ტყის სარგებლობისათვის. 3) აუხსნენ კომიტეტებსა და კომისრებს, რომ ადმინისტრაციის წევრები, რომელიც თავის ნებით გააწერენ მცხოვრებლებზე რაიმე გადასახადს მიცემულ იქნებიან სისხლის სასამართლოში.

✦ **მიხაილოვის რკინის გზის** კომიტეტმა გაიგო რა, რომ ამხ. სელიმ საწიევს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ადერბეიჯანის მთავრობამ, სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთ ძალადობის წინააღმდეგ და მოუწოდებს ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციებს ასეთივე პროტესტი გამოიტანონ. კომიტეტი მოითხოვს დემოკრატიის ინტერესების დამცველთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

✦ **ლექცია ხოლერის შესახებ.** თფ. სახალხო უნივერსიტეტის 1-ლ განყ. ნაძალადევის თეატრში პარასკევს 19 მკათათვეს ექიმი ტურიაშვილი წაიკითხავს ლექციას ხოლერაზე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**კრებები და მიტინგები**

დღეს 19 ივლისს, საღ. 6 საათზე საოლქო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია გურიის დამხმარე კომიტეტის კრება.

# პროვოკაციის ქსელი

**იმერლები.**

შიგ საქართველოში, პროვოკაციის ქსელის გასაბამ საუკეთესო მასალად გამოდგა სიტყვა იმერელი.

ამ სიტყვას ყველგან ერთნაირის მნიშვნელობით არ ხმარობენ ჩვენში. სურამის მთიდან შავი ზღვის ნაპირებამდე მცხოვრები ქართველი, თფილისში რომ ჩამოვა, ან სურამის მთას რომ გადმოსცილდება—იმერელია, მიუხედავათ იმისა, გურული იქნება ის, მეგრელი, რაჭველი, ლეჩხუმელი თუ იმერელი, როგორც ეს ესმით დასავლეთ საქართველოში.

„იმერელი“, თფილისში ჩამოსული, ქართველად არ ითვლება, ის იმერელია.

რა შინაარსისაა ეს სიტყვა?

იმერელი დიდი მატყუარა ვინმეა. იმერელს შრომა არ უყვარს. ის სხვის ნაშრომს ისაკუთრებს. იმერელი მყვლეფელია. იმერელი აღმოსავლეთ საქართველოში სახლდება და ქართველ გლეხობას მიწასართმევს. იმერელი ყველა დაწესებულებებშია გაბატონებული. იმერელი მოსვენებას არ აძლევს, წოვს-ღოზავს ცხოვრებას უბოროტებს ქართველ ხალხს. ერთი სიტყვით, იმერელი მტერი ყოფილა, თუ ზოგიერთებს დავუჯერებთ, იმ ქართველი ხალხისა, რომელსაც თითონ ეკუთვნის.

აი რას გაიგონებთ დღეს!

და როცა ამას ლაპარაკობენ სომხის შოვინისტები, ჩვენ გვესმის, თუ რა არის მათი წადილი.

იმერლების წინააღმდეგ გალაშქრებით ისინი ებრძვიან ქართველ ხალხს!

ასევე იქცევიან რუსი შავრაზმელები თუ „ჩინოვნიკები“, ზოგიერთი „სოციალისტები“ თუ ბუნდუები და სხვადასხვა ერის ნაციონალისტები.

ამ ნიადაგზე ჩვენი მტრების მოღვაწეობა არც ისე შესამჩნევია: ისინი მუშაობენ მალულათ, შეუმჩნევლად.

როცა რაიმე დიდი უბედურება დაგვატყდება თავს, მხოლოდ მაშინ გამოვიღებთ ხოლმე ყურებიდან ბამბას და ჩვენი მტრების გველური სისინი მოგვესმის: ისინი ქართველ ხალხს ჩასძახიან—იმერლებმა დაგღუპეს, ჰკა იმერლებსო!

ეს მოვისმინეთ ჩვენ, როცა დუშეთის ფრონტზე ქართველი მუშა და გლეხი ქართველხავე, მის ძმას, თოფით ხელში დაუპირდაპირდა.

დუშელ გლეხებს აქ ეუბნებოდენ: იმერლები მოდიან თქვენს წინააღმდეგ, დახოცეთ ისინიო!

და ამას ჩასძახოდა ჩვენს ხალხს „არარატის რესპუბლიკის“ მოქალაქე სომეხი შოვინისტი,

რუსეთის „სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკის“ ქვეშევრდომი შავრაზმელი—ჩინოვნიკი,

„ნასტრაჟნიკალი“ ოსი.

და ყველა ეს ხალხი ქართველ ხალხთან მიდიოდა სოციალიზმის ქურქით!

ჩვენი მტრებისთვის ბრძოლის ყოველ გვარი საშვალება მიზნის შესაფერია.

ისინი თამამად მოუწოდებენ ქართველ გლეხებს **იმერლების მთავრობის** წინააღმდეგ, რომელიც თფილისში დაბრძანებულა.

ისინი სხვადასხვა ხაზებში ათავსებენ „იმერლებს“ და „ქართველებს“, როცა მცხოვრებთა აღწერაა ქალაქში და სტატისტიკა უნდა შესდგეს და შემდეგ ამბობენ: იმერლობა ამოდენაა, ქართველობა ამოდენა. დასკვნა: **ქართველები ცოტანი ხართო.**

დაწესებულებებში იმერლებს ქართველებათ არა თვლიან. და თუ მოიხსენიებს ქართველების საერთო რიცხვი, იმერლები ამდენიაო, უეჭველად დაუმატებენ.

ასე გულმოდგინეთ მუშაობენ ჩვენი მტრები!

• რა თვალით უცქერის ჩვენი ხალხი ამ მოვლენას? არის შემთხვევები, როცა ის ნამდვილ მის მტერს ვერ ხედავს და ჯავრს **იმერელზე** იყრის!

— დასწყევლოს ღმერთმა ქა, ამ იმერლების ჩამოსვლამდე როგორ კარგათ ვცხოვრობდითო—გაგვიგონია ქართველი ქალისაგან!

მერე რა გვარ მუშაობას ვუპირდაპირებთ ჩვენ მტრების ამ გვარ მუშაობას? ვცდილობთ საქართველოს გაერთიანებაზე? ვართ გამსჭვალულნი იმ მისწრაფებით, რომ ოდესმე მოვსპობთ ამ კუთხურ დანაწილებას?

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჩვენ არა თუ ვცდილობთ საქართველოს გაერთიანებაზე, არამედ—ხელს ვუწყობთ, ზოგჯერ შეუგნებლათ მის დაქუცმაცებას.

თფილისში არსებობდა რაჭა ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტი,

დაარსდა გურიის კომიტეტი,

მიემატა დუშეთის, გორის მაზრის კომიტეტები...

ალბათ, ჯერ კიდევ ბევრი ადგილებიდან მოემატება ამ გვარი კომიტეტები.

როცა გურიის, გინდ სამეგრელოს კომიტეტი, გურიის გინდ სამეგრელოს მცხოვრებთ ეხმარება, რას იტყვიან ქართლში, გინდ კახეთში?!..

შეუგნებელ ხალხში ხალხის მტრებს მდიდარი საპროვოკაციო მასალა არ მიეცემა?

ნუ თუ ისე დიდია ჩვენი ქვეყანა, რომ ერთი დამხმარე კომიტეტი ველარ გასწვდა მას?

რაღა საჭიროა, სხვას რომ თავი დავანებოთ იმ რამდენიმე ათეული ძალების ასე უნაყოფოთ დაქსაქსვა?...

ჩვენ სასარგებლოთ მიგვაჩნია ყველა კომიტეტების ერთ მთავარ კომიტეტში გაერთიანება. ასეთი გაერთიანების სასარგებლოთ აუარებელი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ასე დაქსაქსული მუშაობა საუკეთესო მასალა იქნება, სხვათა შორის, ჩვენი მტრების ხელში იმ პროვოკაციის ქსელის გასაბამათ, რომელშიც ისინი უპირობენ ქართველ ხალხს გახვევას.

—

**ბოლშევიკების მოღვაწეობის ნიმუში.**

თუ რანაირ მუშაობას ეწეოდენ „ბოლშევიკები“ დუშეთის მაზრაში, ამის საუკეთესო დამახასიათებლათ გამოდგება ქვემო მოყვანილი პროკლამაცია. ამ პროკლამაციას მრავლათ ავრცელებდენ გლეხებში „დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის“ სახელით. მოგვყავს ეს პროკლამაცია სავსებით:

„მთელ გლეხობას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამხანაგებო გლეხებო, მუშებო და ჯარისკაცებო!

ყველა თქვენ, თქვენ ძმებს და დებს, თქვენ მამებს და დედებს, თქვენ შვილებს და ქალებს, ვის ძარღვებში სჩქეფს მუშური სისხლი,—ყველა თქვენ ამ მოწოდებით მოგმართავს დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მთელ დუშეთის მაზრას დღეს ცეცხლი აქვს მოდებული და იწვის. თფილისის მთავრობამ ვერაგულათ გასცა მთელი მუშა ხალხი და გლეხობა. მან ულალატა მუშების და გლეხების რევოლიუციას, ხალხის დაუკითხავათ და ხალხისავე სურვილის წინააღმდეგ შეკრა კავშირი თათრის ბეგებთან და ხანებთან, ქართველ მემამულეებთან და თავადებთან, მან მოსწყვიტა მთელი ამიერ კავკასია და საქართველო რუსეთს და ხელმაგ ერთად ჩამოგვიგდო... ბიჭვილჰელმის ჯარებს, რომელთაც ... დიათ ჩვენი სისხლის დალევა. თფილისის მთავრობას სწადია, რომ ჩვენ ისევ მემამულეების და თავადების მონები გავხდეთ. ამიტომ გამოგზავნა მან ჩვენ წინააღმდეგ თავისი დაქირავებული ჯარი, რომელსაც ხალხის მოსატყუებლათ წითელ გვარდიას უწოდებენ და რომელსაც წინამძღოლობს ხალხის ჯალათი ჟუღელი. ეს ხალხის სისხლში მცურავი გვარდია მოვიდა ჩვენთან მუხანათურათ, მას ჯერ დავალებული ქონდა ჩვენთვის იარაღი აეყარა, რომ შემდეგ ჩვენი დამორჩილება გაადვილებოდათ. მაგრამ ჩვენ არ ავყევით იმათ ანკესზე. არ მივეცით მათ ნება ჩვენთვის იარაღის აყრისა. ჩვენ იმათ წინადადება მივეცით, რომ თუ იმათ ჩვენთვის კარგი სურთ, თუ ისინი მართლა ჩვენი ძმებია და ჩვენთვის გული შესტკივათ, დაინებებიათ ჩვენთვის თავი, ვინაიდან ჩვენი საქმე ჩვენ თითონ უკეთ ვიცით. ამაზე ჟუღელის გვარდიამ თფილისის მთავრობის ბრძანებით, იმ მთავრობის, რომელსაც მეთაურობენ ჟორდანია, რამიშვილი, ჩხეიძე და სხვები ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით გაგვცეს პასუხი.

დუშეთის მაზრას დღეს შემოესია ჟორდანია-ჟუღელის ბრბო და ლამობენ ჩვენ განადგურებას, ასეთი დღე არ დასდგომია ჩვენ ქვეყანას არც ძველ და არც ახალ დროში, არც შაჰაბაზის და აღამახმადის ურდოელების შემოსევის დროს და არც სისხლის მსმელ ნიკოლოზ რომანოვის შავბნელ რეაქციის დროს. საქართველოს ახალმა თვითმპყრობელებმა-მენშევიკებმა ყველას გადააჭარბეს.

მაგრამ ისინი სასტიკათ სცდებიან. რაც უნახავთ, იმას ვეღარ ნახავენ. გლეხობამ უკვე გამოიღვიძა ყოველგან; დუშეთის მაზრის გლეხობა დღეს მარტო არ იბრძვის თავისი უფლებების დასაცველათ. ჩვენთან ერთათაა სამეგრელოს, ლეჩხუმის, რაჭის, ზემო და ქვემო იმერეთის და გურიის გლეხობა. ლეჩხუმის და სამეგრელოს გლეხობა უკვე სამ თვეზე მეტია რაც აღარ ემორჩილება ქართველი ხალხის გამყიდველ მთავრობას. ფშავ-ხევსურებიც ჩვენთან არიან. გორის, თელავის და სიღნაღის მაზრების გლეხობა მზათაა და საკმარისია ერთი შეძახება, რომ იგიც გვერდში ამოგვიდგეს.

ამხანაგებო! დღეს წყდება ჩვენი ყოფნაარ ყოფნის საკითხი. ან უნდა გავიმარჯვოთ და ძირს დავსცეთ მემამულეების და მენშევიკების მთავრობა ან გმირულათ და სახელოვანათ უნდა დავიხოცნოთ სხვა გზა ჩვენთვის აღარ არის.

ამხანაგებო გლეხებო, მუშებო და ჯარისკაცებო! ყველა მაზრიდან, ყველა კუთხიდან, ყველა სოფლიდან გამოეხმაურეთ ჩვენ მოწოდებას, და ვისაც რით შეუძლია, თოფით, ცულით თუ კეტით, ყველამ მხარი დაუჭირეთ საერთო საქმეს.

ბრძოლა სწარმოებს ძმობის, თანასწორობის და ერთობის დასამყარებლათ, ბრძოლა სწარმოებს მუშების და გლეხების რევოლიუციის დასაგვირგვინებლათ, ბრძოლა სწარმოებს იმიტომ, რომ მთელი ძალა უფლება მუშების და გლეხების ხელში იყოს გლეხთა და მუშათა დეპუტატების საბჭოების სახით.

**ძირს მენშევიკების და მემამულეების მთავრობა! გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას ამიერ-კავკასიაში! გაუმარჯოს ერთობას რუსეთის და კავკასიის მუშებსა და გლეხებს შორის! გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას გაუმარჯოს სოციალიზმს! დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

9 ივლისი (მკათათვე).

# შეერთებული სხდომა

საოლქო კომიტეტის, თფილისის კომიტეტის, საკონტროლო კომისიისა, რაიონულ კოლექტივებისა, ეროვნულ და ქალაქის ფრაქციების ს. დ. მ. პ.

(17 ივლისი)

თავმჯდომარეობს ნ. რამიშვილი, მოხსენებას აკეთებს ალ. ლომთათიძე. ჩვენ ქალაქის თვითმართველობაში სამუშაოთ აგვირჩიეს, უნდა ვმუშაობდეთ, საქმე კი გაჩერდა. ამას თავისი მიზეზები აქვს: ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეწვია სხდომა და გაგვეცნო ამხანაგებისთვის საქმის მდგომარეობა. უნდა ყველა ამხანაგებმა იცოდეს, რომ მუშაობა ვერ მიდის ისე, როგორც საჭიროა. ჩვენი სურვილია საქმე კეთდებოდეს. დავიწყოთ იქიდან, რომ გამგეობაში გვყავდენ ამხანაგები, მაგრამ ამხ. ფირუმოვი სადღაც დაიკარგა, ამხ. სმირნოვმა ალაგს თავი დაანება, პოპოვი მიდის, ადრე ელიავა დასასვენებლათ წავა. ვინ უნდა იმუშაოს. ჩვენი იდეიური გავლენაც ეცემა. საბჭოშიც ასეა საქმე. საბჭოს მუშაობა კომისიების მუშაობის

თანხაა, მაგრამ კომისიებში თითქმის ყველი მუშაობა შესწყდა: არ მოდიან, ან იშვიათად. ზოგი კომისიები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. არჩეულები არ მუშაობენ, მაგრამ არც მიდიან, რომ ადგილი სხვას მისცენ. საბჭოს ჩვენი ფრაქცია არ ეკიდება საქმეს წინანდელი ხალისით. ეს კი მტრებს ახარებს: ეს დეკებს საქმის უნარი არ აქვთო. თავი იჩინა აზრთა სერიოზულმა სხვადასხვაობამ, ამის მიზეზები უნდა იყოს საბჭოს პლენარულ სხდომებზე ჩვენი ამხანაგები საკმაო ენერგიით არ იცავენ ჩვენ პოზიციებს, არ აშუქებენ ჩვენ სურვილებს. ნუღარ დავმალავთ. წინანდელი ერთსულოვანება არ სჩანს. ამხანაგები კი გვისაყვედურებენ. დღევანდელმა ავტორიტეტულმა კრებამ გვითხრას, თუ რა არის საჭირო ძალების ძველებურათ შესადუღებლათ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ წელიწადი დავაბოლოვოთ ისე, როგორც საჭირო არის და დავალებული საქმე პირნათლად ავასრულოთ.

შემდეგ მრავალი ორატორები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ აზრთა სხვადასხვაობა არის, მაგრამ ეს სიცოცხლის ნიშნათ უნდა ჩაითვალოს და არა ცოდვათაო.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია ორი ხმის წინააღმდეგ:

„საოლქო კომიტეტის, ტფილისის კომიტეტის, საკანტროლო კომისიის, ეროვნულ და ქალაქის საბჭოების ფრაქციებისა და რაიონულ კოლექტივების შეერთებულმა სხდომამ იქონია რა მსჯელობა იმ მდგომარეობაზე, რომელიც დამყარდა პარტიაში ჩვენი ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში, ერთხმად დაადგინა: ერთად-ერთი გამოსავალი საქართველოს რესპუბლიკისათვის არის იმ პოლიტიკის გამარჯვება, რომელსაც ატარებს ცხოვრებაში პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები, რევოლიუციონური ორგანიზაციები, სახალხო გვარდიის შტაბი და მთავრობა, ე. ი. საქართველოში დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცება. ამ პოლიტიკის დამარცხება მომასწავებელი იქნება კონტრ-რევოლიუციონურ ძალების გამარჯვებისა მთელი მისი პოლიტიკური შედეგებით. კრებას სავალდებულოთ მიაჩნია, რომ ყველა პარტიული ორგანიზაციები და ჯგუფები მჭიდროთ შეერთდენ ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან და მათთან ერთად იარონ“.

## მუშათა წერილები

### ჩვენი პარტია და ცხოვრების სინამდვილე.

სადღესასწაულო დღეები ჩვენი ქვეყნის რევოლიუციისა თანდათანობით იცვლება მასაში განვითარებული სტიქიის ძალდატანების გამო ცარცვა-გლეჯით და ამით წმინდათა წმინდა თავისუფლება, კაცთმოყვარეობა, ადამიანობა ტალახში ისვრება. იმას, რასაც ჩვენ ძლიერ უფრთხოდით, ვშიშობდით და რის შესაძლებლობაზე არც კი ვბედავდით ფიქრს, წარმოიშვა ერთობ ბნელ წყვდიადიანი სახით. წარმოიშვა მიუხედავათ იმისა, რომ მთელი ჩვენი დემოკრატია თავის გმირული ძალით და ღონით ცდილობდა თავიდან აეცილებინა ეს საშიში მდგომარეობა დემოკრატიის ინტერესებისათვის.

ლეჩხუმი და დუშეთი, საჩხერე და თიანეთი, სამეგრელო და ოსეთი, ეს ის პუნქტებია, სადაც დაწაშული, ბუნტაოული მასისა, ვერ შესძლო დემოკრატიამ თავის დროზე გარდაექმნა თავის ძალით, მშვიდობიანი გზით. დღეს, რაც დრო მიდის, სულ უფრო და უფრო ხშირათ გაზეთის ფურცლებზე მოყავთ ერთი მეორეზე უარესი და სამწუხარო ფაქტები. შეუგნებელი, დაბრმავებული გლეხთა მასის მოქმედებამ ჩემო აღნიშნულ ადგილებში მიიღო ისეთი მახინჯი ფორმა აჯანყების, მოძრაობის, რომ ერთი მეორეზე უარესია და დამაფიქრებელი. მამას არ ჯერავს შვილის, შვილს მამის, ძმას ძმის, მოყვარის, ამხანაგის, და საერთოდ ყველას ელანდება ღალატი, თავად აზნაურობის მოყიდულობა და სხვა. დუშეთ-ლეჩხუმის რაიონის ბნელ გლეხობას უკვე არ აკმაყოფილებს, რომ გახდენ თავიანთი შეუგნებლობით, პროვოკაციით ავაზაკები და აშკარათ გაიძახიან, დახოცეთ ყველა მუშათა სახალხო გვარდიის, „თავად-აზნაურების მოყიდულებსო“. ასეთია პროვოკატორ ბოლშევიკების მიერ დაბრმავებული გლეხობის მდგომარეობა, აზროვნება, სულიერი განცდა ამ ბნელ კუთხეში. როდესაც ყოველივე ამას ითვალისწინებ, ფიქრობ: არა საიმედო არის გლეხთა მასის სიღრმეში საქმე. გლეხთა მასაში შედის მემარცხენეობის სახით საშიში პროცესი, ნამდვილი მემარჯვენეობისა, დაღუპვისა. მუშათა კლასი, მისი პარტია კარგავს თავის გავლენას ამ კუთხის გლეხობაზე. სულ უფრო და უფრო შორდება გლეხობა მუშათა კლასს, მის მოქმედებას და მიექანება შეუჩერებლივ წინ. ეს ფაქტი მუშათა კლასის წინაშე კითხვას აყენებს ძალაუნებურათ: რა იქნება შემდეგ? მუშათა პარტიასთან, მუშათა კლასთან წავლენ უახლოესი ისტორიული დღეებში გლეხებისა, თუ მუშათა პარტია იქნება გაშორებული გლეხების მიერ თავის მაქსიმალიზმის და სტიქიის კედლებით?

შეძლებს თუ არა სოციალდემოკრატია დაეპატრონოს გლეხთა მოძრაობას, აჯანყებას და მიმართავს იმათი საჭეს ისტორიულ აუცილებლობისაკენ, თუ გლეხთა სტიქია გადალახავს ისტორიის აუცილებელ გზას და ჩვენ მუშებს, სისხლით მორწყულ ველ-მინდვრებზე მოგვიხდება შეჩერება ახალ უბედურების წინაშე, რომ გამოვსცადოთ ახალი ტრაღედია ჩვენი უბედურების და ყველაფერი თავიდან დავიწყოთ განმარტოებული ჩვენი ქვეყნის ვიწრო ფარგლებში და ახალ ფორმებში?

ასე დგას კითხვა მუშების წინაშე. დღეს გლეხთა მასის სიღრმეში შედის დაშლის, დარღვევის, ანარქიზაციის პროცესი. საშიში, გამცემლური თამაში შეუგნებელ გლეხთა ინსტიქტებზე ბოლშევიკების მიერ, თავის ნაყოფს იღებს. დემაგოგები, მოღალატეები სხვადასხვა ჯურისა ამ მასის სიბნელით სარგებლობენ და აკეთებენ იმას, რასაც მათი ბნელი საქმის ინტერესები მოითხოვენ. ვინ განდათ, ჩვენი კუთხის გლეხობას არ დაპატრონებია: რუსის თუ სომხის, ქართველის თუ ოსის ხულიგანები თავიანთ ნაძირალური საქმის გასაკეთებლად. მუშათა კლასი ამ ბნელი ძალების მოქმედებას და მის ამყოლ შეუგნებელ გლეხობას, რომლებიც დღეს გამოსულან იარაღით ხელში ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლების დასამხობათ, ებრძვის იარაღითვე ხელში და მანამ არ დაჰყრის იარაღს, სანამ თავისუფლების მტრები არ იქნებიან დამარცხებულნი, ლახვარ ჩაცემულნი. მაგრამ მარტო იარაღში არ არის საქმე, ხსნა, ჩვენთვის, მუშათა კლასისათვის, მისი პარტიისათვის. ზოგ კუთხეებში იარაღით ხელში გამოსული „ბანდები“ ვერაფერს უზამს შეგნებულ, რწმენით აღჭურვილ, ორგანიზაციულად დარაზმულ, მუშებს, მის თავისუფლებას. გლეხთა ნაწილის ვანდეას გაუმკლავდება შეგნებული დემოკრატია და ეს არ არის საბოლოოთ საშიში. საშიში და სამწუხარო არის ის, რომ გლეხთა მასამ ამ აჯანყებულ კუთხეებისამ დაჰკარგა ის რწმენა, აზროვნება, სალი შეხედულება, რომელიც მათ ჰქონდათ შეთვისებული და რომლის შესათვისებლად გლეხებში მუშათა კლასს დიდი ღვაწლი და მსხვერპლი მიუძღვის. დემაგოგ ბოლშევიკების წყალობით ამ კუთხის გლეხობამ დაჰკარგა, რაც ჰქონდათ, იცოდენ, სწამდათ და სამაგიეროთ კი ვერაფერი შეიძინა. მათ დაუკარგეს სალი აზროვნება მათი ინტერესებისათვის. აი ეს არის საშიში, აი ეს არის სამწუხარო და სავალალო და ტრაგიზმი შეგნებულ დემოკრატიისა და ჩვენი პარტიისა. სწორეთ, ჩვენი პარტია ამ მხრით განიცდის დღეს ტრაგიზმს ამ აჯანყებულთა კუთხეების გამო. ეს გარემოება მეტათ დამაფიქრებელია და სერიოზულ ანგარიშ გასაწევია ჩვენს მიერ, ამასვე გრძნობენ ყველა ჩვენი ამხანაგები, ვინც კი მუშაობდა ამ რაიონებში.

მაგრამ უნდა ვსთქვა ის, რომ ასეთი ჩვენი პარტიისათვის და მასთან ერთად დემოკრატიული წყობილებისათვის შექმნილი გარემოების გამო ჩვენ ვერ დავყრით ფარხმალს, ვერ მივეცემით პესიმიზმს; პირიქით, ეხლა უნდა გავაორკეცოთ ჩვენი ენერგია მუშაობა, რომ ვსძლიოთ ყოველივე დაბრკოლებას. მაგრამ როგორ, რა გზით, რა საშუალებით? ჩვენი გზა და საშუალება მუდამ იყო და არის პარტიული მუშაობა, პარტიული ორგანიზაცია. იქ, სადაც ჩვენი ორგანიზაცია სუსტია, ან სულ არ არის, იმ ადგილებში მუდამ ანარქია და არევ-დარევა. ამისათვის ჩვენი უმთავრესი მიზანი დღეს არის პარტიული მუშაობა, პარტიული აპარატების შექმნა და ამავე საშუალებით დემოკრატიული წყობილების განმტკიცება, გამაგრება. თქვენ იცით ამხანაგო მკითხველო მუშებო ის, რომ თავისუფლებამდის ჩვენი პარტია მუშაობდა საოცდაბში, მძიმე პირობებში და, წარმოიდგინეთ, ასეთ დროს არ იყო ისეთი კუთხე, ქალაქი, დაბა, სოფელი, რომ არალეგალური ორგანიზაცია არ გვქონოდეს. ჩვენი პარტიული აპარატები ისე კარგათ იყო მოწყობილი მიუხედავათ ცუდი პირობებისა, რომ დღევანდელს ზოგიერთ ადგილებისას ბევრათ სჯობდა შედარებით. დღესაც იმავე ტაქტიკით უნდა ვიმუშაოთ, მხოლოდ უკვე ლეგალურ ნიადაგზე. ყველგან უნდა შევქმნათ პარტიული ორგანიზაციები იმ კუთხეებში, სადაც არ არის, ან იყო და ამ ანარქისტული გამოსვლების გამო დაიშალა. არ უნდა დარჩეს არც ერთი ქალაქი, დაბა და სოფელი, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ქსელი არ იყოს გაბმული მჭიდროთ მთელი ჩვენი ორგანიზაციების ყურადღება აქეთ უნდა იყოს მიპყრობილი, ყველგან ჩვენი, სოციალდემოკრატიული იდეა უნდა შევიტანოთ, ყველგან ჩვენ სწორი, ნამდვილი მომენტის შესაფერი ტაქტიკა უნდა გავაცნოთ ფართე მასსას, რომ ის ყალბი, დემაგოგების მიერ ჩანერგილი აზროვნება გზა აბნეულ მასსას თავში გაუფანტოთ და ამით მჭიდროთ დავაკავშიროთ ჩვენს იდეასთან, ჩვენს პარტიასთან. ასეთი მუშაობის შესახებ ჩვენი პარტიის უმთავრეს ორგანიზაციამ უკვე გადადგა ნაბიჯი,—ყველა ძალების მობილიზაციას ახდენს პროვინციებში სამუშავოთ და განსაკუთრებით იქ, სადაც გლეხების შეხედულებამ გადუხვია სწორ გზას და დაღუპვისაკენ მიექანება.

მაშ, ამხანაგებო, ერთათ ერთი გზა დაგვრჩენია მუშათა კლასს. ეს გზა არის პარტიული ორგანიზაციების აშენება. სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს და არც გვექნება არასოდეს. ყველა ძალები პარტიულ ორგანიზაციების შესაქმნელად—აი ჩვენი ლოზუნგი, აი ჩვენი მოვალეობა და მიზანი.

აკ. პლებეიშვილი

## მოვალეობის მსხვერპლი

საქართველოს ნორჩი რესპუბლიკის და ქართველ ერის დღევანდელ სასიცოცხლო ინტერესების შესანარჩუნებლათ ბარბაროს მტრებთან ბრძოლაში მრავალი მხნე, პატიოსანი და საუკეთესო მომავლით გატაცებული ამხ. გამოგვეცალა ხელიდან ამ მოკლე ხანში; ერთ ასეთ თავგანწირულ მოქალაქეთაგანი იყო მლეთში (საქართველოს სამხედრო გზა) ქვეყნის მოღალატე მტრებთან ბრძოლაში ტრაღიკულად დაკარგული იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტი აფიცერი მიტო (დიმიტრი) გულისაშვილი. მის პიროვნებაში ჩვენ დავკარგეთ იშვიათი, გულწრფელი, დაუშრეტელი ენერგიის და ფაქიზი კაცთმოყვარე გულის პატრონი ადამიანი, რომელიც სავსე იყო სიცოცხლით და მომავლის საუკეთესო იდეალებით. როგორც აფიცერი და ხელმძღვანელი ჯარისკაცთა, ის იშვიათი საყვარელი და ნდობით აღჭურვილი იყო თავის ამხანაგებში და თანამოსამსახურეებში, რისთვისაც მხურვალეთ დასტირიან ყველანი მის დაკარგვას.

ძმაო მიტო! ხალხის სიცოცხლის და თავისუფლების დაუძინებელმა მტრებმა, რომლებიც ლამობენ სისხლში ჩაახრჩონ ქართველი ერის კეთილდღეობა და მისი მომავალი, არ დაგინდვეს სამშობლოს სიყვარულით გატაცებული, თავდადებული მებრძოლი და მუხანათურათ გამოსროლილი ტყვიით უცბათ მოგისპეს უმანკო სიცოცხლე, გულში ჩაგიკლეს ნაზი გრძნობანი, კეთილი ზრახვანი და საუკეთესო იდეალები მომავლის. წყევლა კრულვა ხალხის მოღალატეებს. ღრმესად დამწუხრებული, თვალცრემლიანი გეთხოვებით საყვარელ ადამიანს და ვანუგეშებთ შენს გულ-დათუთქულ მშობლებს და მოკეთეებს მით, რომ შენ დაუმტკიცე სამშობლოს სულის სირაინდე და ერთგულობა, რომ თავგანწირულ მომავლის იმედებით შენ დაეცი უსწორო ბრძოლაში ჩვენი ერის საკეთილდღეოთ და მაგალითი გვიჩვენე სამშობლოსათვის თავდადებულებაში და მტერთან მამაცურათ ბრძოლაში შენს ამხანაგებს. მშვიდობით ხამუდამოთ, ძმაო მიტო! შენი ტკბილი მოგონება და სულის სიმტკიცე დიდხანს აღბეჭდილი იქნება შენ ნაცნობ-ამხანაგების და მეგობართა მეხსიერებაში.

სტ. ნიკოლაიშვილი, არსენ წითლიძე, აპოლონ წულაძე.

## სვიმონ ზაქარეიშვილის ხსოვნას

იმ დროს, როდესაც რკინის გზა ანარქიის ცეცხლში იყო გახვეული და მობოლშევიკო ჯარის კაცებმა თითქმის შეუძლებელი გახადეს რკინის გზის წესიერი მსვლელობა, აღმასრულებელმა კომიტეტმა შეადგინა რაზმი, რომ წესიერება აღედგინა. ამ რაზმელთა შორის პირველი გამოვიდა ამხ. სვიმონ ზაქარეიშვილი და სიკვდილამდე შეუდარებლათ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. სვიმონი იყო თავისი მდგომარეობით პატარა კაცი, მესრე, მაგრამ ის სულით და გულით დიდი კაცი იყო და ნამდვილი რევოლიუციონერი. ჩვენ, სამწუხაროთ, ჯერ არ გვაქვს ცნობა თუ ვისმა ბოროტმა ხელმა მოუსპო მას სიცოცხლე. მაგრამ იცოდენ სახალხო საქმის მტრებმა, რომ თვითეული ჩვენგნით შეწირული მსხვერპლი უფრო გააკაჟებს დემოკრატიას და მის რაზმებს.

განისვენე, ამხანაგო, მშვიდათ. შენ საყვარელ საქმეს ჩვენ განვაგრძობთ.

მ. არველაძე.

## ერთი კვირა დუშეთის მაზრაში

7 ივლისი. 1918 წ. დილით.

როგორც რომაელთა მითოლოგიაში სატურნმა დანთქა დიდის ფარეზითა და ალერსით მოვლილ გაზრდილი შვილები, ისე საქართველოს ხალხს ჰყოლია ასეთი საშინელი გონება არეულ სატურნი; ის სპობს იმ პირმშოებს, რომელთაც თვალი აეხილათ მაშინ, როცა დაემხო ძველი წესწყობილება და თავისუფლების მზე იწყო კაშკაში. ეს სატურნია—ქართველი მდაბიო ხალხის შეუგნებლობა. ამ შეუგნებლობის ქარი აფორიაქებს ჩვენი მამულის განაპირა კუთხეებს, ჰბადებს არეულობას და ემუქრება წვითა და დაგვით შენარჩუნებულ თავისუფლებას.

ქართველ ხალხს ამაყობა ჰპართებდა, რომ ბედნიერია თავისუფლებით, დამოუკიდებლობით... როცა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს—უკრაინას, დონის მხარეს, ყუბანს, ყრიმს და სხვას მაჯლაჯუნასავით დასწოლიან პირწავარდნილი ნიკოლოზნი, სკოროპადსკები და კრასნოვები, ჩვენში საქართველოს საჭე უპყრიათ დემოკრატიის საუკეთესო და საამაგო ბელადებს..!

ამისთანა დროს საქართველოს მიყრუებულს მხარეში ვიგინდარები და გადამთიელები პროვოკაციას მიჰმართავენ, გლეხობას თვალებს უხვევენ და თბილისისკენ მოჰყავთ მთავრობის დასამხობათ...

წერეთელი, ჟორდანია, ჩხეიძე—მოსყიდულნი არიან თავადებისაგან და ოსმალებისაგან—ჰკა მაგათაო, აქეზებდენ დუშეთის მაზრის მცხოვრებთ.

მათაც იწყეს დენა სოფლებიდან... მათ იწყეს სატურნივით თავისი პირმშო რევოლიუციის მოსპობა...

მათში ქალს აბამდა და შხამავდა ცნობილი ხაჩატუროვი, ფედკა რუსი და კომპანია. იგინი დაწანწალებდენ სოფლიდან სოფლათ, თარჯიმანების საშუალებით ატყობინებდენ ხალხს, ვითომ გვარდია შავრაზმული იყოს და ამნაირათ ზრდიდენ თავიანთ ლაშქარს...

მძარცველთა, ნასტრაჟნიკალ-ნაგოროდოვართა რიცხვს ემატებოდა მიამიტი ხალხი და აჩაღებდა საშინელს ცეცხლსა...

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სასოფლო სექციამ გადასწყვიტა ახლა მაინც მოეხედნა ხაჩატუროვ-ფედკების ავანტიურით დაღუპულ ხალხისთვის და დუშეთის მაზრაში გაჰგზავნა აწიოკებულ მცხოვრებთა დასამშვიდებლათ და სოფლებში ორგანიზაციების მოსაწყობათ: ვლასა მგელაძე, ფილიპე ლორია, გრიგოლ ცინცაძე და ამ სტრიქონების დამწერი.

ხალხის შეუგნებლობა მთელის თავისის სიდიდით წარმოგვიდგა თვალწინ დუშეთის მაზრა, რომ შემოვიარეთ და შეგვაშინა... აგვაკანკალა...

თავდაპირველათ სოფელ გალავანში დავნიშნეთ საგურამოს რაიონის გლეხთა ყრილობა. კრებაზე თავი მოიყარეს: სოფ. საგურამოს, ახალსოფლის, გალავნის, არაშენდას, შამქევანის, ნავდარაანთკარის, კოტორაანთკარის, წინამძღვარიანთკარის, ზაქარას, ბეწმენდის და ახატანის მცხოვრებთა.

ვეცნობი დუშეთის მაზრის სოფლებს და ვრწმუნდები, რომ აქ განათლების დარგში თითქმის არა გაკეთებულა რა.

დიდი მუშაობაა საჭირო, რომ გავაბრწყინოთ ხალხის ჩაწყვდიადებული გონება..

მეტი სინათლე, მეტი შეგნება!.. აი რა მსურს მოვითხოვო ეროვნული საბჭოსაგან, თუ კი გვსურს, რომ ჩვენს ცხოვრებაში აღარა ჰქონდეს ადგილი ამ ამბოხებას გლეხებისას და მათს გულს არ დაეპატრონონ ხაჩატუროვები და მრავალი ჯურის მატრაპაზები.

ეროვნული საბჭოს წევრნო! როგორც არ კმარა მარტო სიტყვების ძახილი: „მეუფეო, მეუფეო!“—რომ დაიმკვიდროს კაცმა სასუფეველი,—ისე არა კმარა პრტყელ პრტყელი სიტყვებით პაექრობა სასახლის დარბაზში და ყოყლოჩანურად ქადილი: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არავის დავაჩაგვრინებთო... ქართლის ხალხი შეუგნებელია, ბნელი.. მათთვის თქვენ არა მიგიცათ რა... გაზეთიც კი არ არსებობს მათთვის მისახვედრი და გასაგები...

მოუარეთ მას... ნუ გახდით პროვოკატორების ანაბარად... ნუ დაამსგავსებთ ტაძარს, რომელსაც ეშმაკები ეპატრონებიან... განათლების შუქი მოჰფინეთ ხალხსა... მათ ჯერაც არ შეუგნიათ და არ მიმხვდარან, თუ რა ბედნიერნი არიან მათს საქართველოს დამოუკიდებლობა რომ ეღირსა..

თვითეული თქვენგანი უნდა აინთოს განათლების ჩირაღდნად.. მალე მიხედეთ, თორემ თქვენი მეტოქე,—„ხალხის შეუგნებლობა“—იბღარტებს და ყველგან დაგზავნის თავის ოვალ-ბედითს მიკიოტებს... და ხომ იცით, რის მომასწავებელი იქნება ესა... ასე ხდება მხოლოდ გაპარტახებულს მხარეში—ნასოფლარ-ნასახლკარებზე..

მაშ ბრძოლა ასეთს მიკიოტებს.. უწინამც დღე გაჰქრობია ჩვენს მტერსა, თორემ ეროვნულ საბჭოს სასახლეს, რომ მოედვნენ ყრაშ-ყრაშით,—სასახლე რომ ნასახლარად გადააქციონ, მაშინ მშვიდობით თავისუფლებავ და დამოუკიდებლობავ!..

თუმცა ეხლა ზაფხულია და სოფელს დიდად უღირს დრო, ყრილობაზე მაინც დიდძალ ხალხმა მოიყარა თავი.

კრების გახსნამდის ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყო დაყოფილი და ლაპარაკობდენ მომხდარ არეულობაზე.

— რა ვიცი, სოსო, ბნელი, უსწავლელი ხალხი ვართ და ვერ გაგვირჩევია მტერი მოყვრისაგან. ი სამგლე „მაშენიკები“ ძაან კი ჩაგვჩრჩენდენ წითელი რაზმი და მთავრობა თავადებს მოუსყიდნიათ და მოდიან მიწების ჩამოსართმევადო.

— როგორ თუ რა იცი, გიო, მანამ დაიჯერებდი, რატომ კაცი არ გაგზავნე წითელ გვარდიასთან სწორი ამბის შესატყობლად, რა მალე აჰყევი ფეხის ხმასა..

— რა მექნა, კაცო, თოფით მედგნენ თავსა და შტიალით მეუბნებოდენ:—არ მოხვალ, არ მოგვდევ თანა?—მაშ შენ თავად-აზნაურობის მომხრე ყოფილხარ, შენ ძველი წყობილება გდომებია, ახლავე გაგათავებ, თუ არ წამოგვყვებიო.

— ემდე, უნდა დაგენახნა, რომ კაი სული აგრე ძალადობას არ მიჰმართავდა.

— ე, შვილოსან, ახლა მაგრე ლაპარაკობ და პირველი კი შენ გაიძახდი, წავიდეთ, წავიდეთ, მოვსპოთ მოსყიდული მთავრობაო.

კრება გახსნა საგურამოს რაიონის კომისარმა გიორგი ტატიშვილმა, რომელმაც მიულოცა საზოგადოებას, რომ მათთან ჩამოვიდა ისეთი სახელოვანი მებრძოლი საქართველოს დემოკრატიისა, სპარსეთის რევოლიუციის ამპრიალებელი, კატორღიდან ოთხჯერ გამოქცეული და ახლა გლეხებისადმი სიყვარულით აპირთავებული მუშა ვლასა მგელაძე, რომელიც ახლავ გამოგესაუბრებათო.

ვლასა მგელაძე შეეხო იმ არეულობებს, რომელსაც ადგილი აქვს დუშეთისა და თიანეთის მაზრაში და განაცხადა: ყველა ეს გამოწვეულია დემოკრატიის მტრების გაიძვერობით და მუხანათობით. მათ ვერ მოუნელებიათ ჩვენი თავისუფლება, მთავრობას ცილსა სწამებენ და ბნელ ხალხს საშინელს საქმეს ადენინებენ. ჩვენი მთავრობის დამარცხება იქნება ოსმალეთის გამარჯვება, რომელიც უმალ შემოუტევს საქართველოს და შაჰაბაზის და აღა მაჰმად ხანის დროს გამეფებას. ცილის წამებაა, ვითომც მოსყიდული იყოს მთავრობა... პირველი მე ჩავცემდი ლახვარს მოღალატესა, მაგრამ ეს ასე არ არის, თქვენ გატყუებენ.

შემდეგ ილაპარაკეს გ. ცინცაძემ, ფ. ლორიამ და ამ წერილის ავტორმა. დაწვრილებით გააცნეს, თუ რა მოხდა ამ თვე ნახევრის განმავლობაში, როგორ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რა ზომებს ღებულობს მთავრობა რევოლიუციის მონაპოვრის შესანარჩუნებლათ.

ახსნეს თუ რამ აიძულა საქართველო შეთანხმებოდა გერმანიას, მოიყვანეს მაგალითი მე 18 საუკუნის დასასრულისა, როცა მეფე ერეკლე მიიდრიკა ჩრდილოეთისკენ და მიიღო რუსთა მფარველობა.

გაუთვალისწინეს საფრთხე და განსაცდელი, რომელიც მოსდევს ასეთს არეულობას და ახსნეს სახალხო გვარდიის დანიშნულება.

ახლა ყოველი წუთი გამოანგარიშებული უნდა იყოს, რა დროს ამბოხებაა, როცა მიწა გასანაწილებელია, ერობა შემოუღებელი, სოფლის ადმინისტრაცია მოუწყობელი, მთელი მხნეობა უნდა მიმართულ იქნას საქართველოს სახელმწიფოს გამტკიცებისკენ.

ამათ შემდეგ ილაპარაკა საგურამოს რაიონის კომისარმა გიორგი (ვანო) ტატიშვილმა.

— მეო სთქვა მან—ნიკოლოზის ნებამ ენისეის გუბერნიაც მაწვნეინა და ასტრახანისაცა; მრავალი წამება გადამიტანია, მაგრამ ისე არ დავტანჯულვარ, როგორც ამ არეულობის დროს... გაავრცელეს თუ არა პროვოკატორებმა ხმა—მთავრობა მოსყიდულიაო—მე როგორც მთავრობის წარმომადგენელი ამომიღეს ნიშანში—ეგეც მოსყიდული იქნებაო და დამიწყეს დევნა... სანამ აქაური ამხანაგები მამხნევებდენ, ვიტანდი ავაზაკების დევნასა, მაგრამ როცა ეჭვის თვალით მეგობრებმაც დამიწყეს ყურება, როცა ჩვენებმაც აისხეს იარაღი და მიძალადებდენ გავძლოლოდი მთავრობის წინააღმდეგ—იძულებული შევიქენი გავქცეულიყავ. ვერ გასჭრა ჩემმა მტკიცებამ, რომ ეს ხმები მოსყიდვისა—ხალხის მტრების ოინებია—თქვენ მაინც თქვენსას გაიძახოდით და სიმართლის მთქმელს სიკვდილით ემუქრებოდითო.

დამსწრეებს წინადადება მიეცა შემოეტანათ შეკითხვები და ეთქვათ დაუფარავათ ყველაფერი, რაც აღელვებდათ და აწუხებდათ...

გლეხები ერთხმად აღიარებდენ, რომ იგინი შეცდომაში არიან შეყვანილნი.

საინტერესოა სიტყვა წინამძღვარიანთ კარელ მოხუც, ცალ თვალა გლეხისა—ისაკა ჭიკაიძისა.

— მე ფოფის სროლა სრულებით არ ვიცი, თავისს დღეში არ ამღია იარაღი ხელში და როდესაც გავრცელდა ხმა თავად აზნაურობას თათრები მოუძღვის ჩვენს გასანადგურებლადაო; ზედ ზარბაზნებმაც ასტეხეს გრიალი—აბა ბიჭებო, მტერი მოდის მიწისა და თავისუფლების წასართმევად—ან გამარჯვება ან სიკვდილიო—მაშინ პური ყანაში მეწოდა სიცხისაგან, რა დრო იყო ხევებში სირბილისა, მაგრამ მტერს როგორ დავაჩაგვრინებდი თავსა... იმ წამსვე ვეკვეთე თოფსა, წავჰყევი ხალხსა და ზურგსაფრდით თფილისიდან მომავალს ჯარსა... სროლა არ ვიცოდი და ჩაგებში ვისწავლე... უფროს მიღმა იქ ვისწავლე სროლა... შამჭამა ... დამეძაგურნენ;

— შენ ვერ ესვრი ძიავ, კარგა ვერა ჰხედავ, მოგვეცი თოფი ჩვენ ვესვრითო. მაგრამ არ დავანებე. მინდოდა საკუთარი ხელით დამეცალა ის ექვსი პატრონა, რომელიცა მქონდა მტრისთვის მომზადებული...

მადლობა ღმერთსა, რომ ძმათა სისხლში არ ჩავდექით. გასჭრა ზოგიერთების მტკიცებამ. გაუგზავნეთ გვარდიას დელეგატები და გაკვირვებული დავრჩით... იქ სულ ჩვენი ნაცნობი მუშები აღმოჩნდენ... რა ეცხოთ მათ თავადებისა.

— რა დაგიშავეთ, ხალხო, რას გვერჩით, რატომ ჩაგვსაფრებილხართო გვითხრა ვალიკო ჯუღელმა და ჩვენ სირცხვილისაგან კინალამ ტირილი არ დავიწყეთ.

რახან გავიგეთ საქმის ვითარება აღუთქვით რომ ჩვენ აღარას ვავნებდით. გადავკოცნეთ ერთმანეთი და გამოვბრუნდით სახლისკენ...

ყრილობაზევე აღიძრა ლაპარაკი იარაღის თაობაზე.

— ვინც ერთგული იყო მთავრობისა ჩააბარა; მან შეინარჩუნა, ვისაც გული წმინდა არა აქვს და ქურდ-ბაცაცობას ჰფიქრობს. ყველას უნდა ჩამოერთვას.

იარაღი ანგრევს ჩვენს ოჯახს... მუშაობაზე გულს უცრუებს. მას შემდეგ აირია სოფლის საქმეები, რაც იარაღი იგდეს ბიჭებმა ხელში... იარაღი მალე უნდა ჩამოერთვას ყველას, თორემ საფრთხე ელალ მართალ ხალხს მოელის... არამც თუ თოფები რევოლვერებსაც რომ ჩამოართმევდნენ კარგს იზამენო.

კრების დასასრულს მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

„7 მკათათვეს, 1918 წ. საგურამოს რაიონის მცხოვრებთა საერთო ყრილობამ მოისმინა რა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლების მოხსენება დუშეთის მაზრაში მომხდარს აჯანყებაზე, მთავრობის მიერ მიღებულს ზომებზე წესიერების დასამყარებლად; მოისმინა რა აგრეთვე ის, თუ რა ღონისძიებასა ხმარობს მთავრობა თავისუფლების მონაპოვართა შესანარჩუნებლად; მიწის საკითხის და სხვა დემოკრატიულ კანონ-პროექტთა ცხოვრებაში გასაყვანად,—დაადგინა: საგურამოს რაიონის სახელით სალამი და ნდობა გამოეცხადოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, აღმოუჩინოს დახმარება არეულობის მოსასპობად, დემოკრატიული წყობილების განსამტკიცებლად და მიწის სამართლიანათ გასანაწილებლად“.

7 ივლისი, საღამოთი.

ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, როდესაც „ბუნების კარში“ გულმოდგინეთ წავიკითხე ილია ჭავჭავაძის „სადღეგრძელო“ წარმოთქმული ილია წინამძღვარიშვილის მიერ დაარსებულ სამეურნეო სასწავლებლის გახსნისას და შევნატრე წინამძღვრიანთ კარელებს: ნეტავი თქვენა! ისეთი საყვარელი კაცი გყოლიათ, რომ სცდილობს განათლებას და საუკეთესო სასწავლებელს გიხსნით.

რას ვიფიქრებდი მაშინ, თუ ოცი წელიწადი გაივლიდა და ეს უშვენიერესი სასწავლებელი გაოხრდებოდა და გავერანდებოდა.

რა გულ-ამოსკვნით მოიჩივლებს ამაგდარი ილია წინამძღვრიშვილი, როცა ჰნახავს თუ მისს სასწავლებელს პატარძალივით მოვლილ-მოკაზმულს დღეს ასე წეწვენ და აპარტახებენ.

შენობები დაფარღალალავებულია. ავდარი და ქარი აფუჭებს შენობას.

ბაღჩა-ბაღები თითქმის მთლად მოსპობილია...

მეფუტკრეობით განთქმულს სასწავლებელში დღეს ერთს სკასაც ვერა ნახავთ. სულ დაუტაცნიათ სოფლელებს. მშვენივრად გაშენებული ვენახი ახლა გულსაკლავ სანახაობას წარმოადგენს. როგორც გადმომცა მეურნეობის მასწავლებელმა კარგა ხანია სკოლის გამგე სთხოვს ფულს ეროვნულს საბჭოს, როგორც პატრონს სასწავლებლისას, მაგრამ დღემდე არა მიუღიარა. ხუთასი მანეთიც რომ მიგვეცა, ვენახს მაინც მოუვლიდით, რომლის მოსავალი თითქმის დაჰფარავდა სკოლის ხარჯსაო.

ხეხილეულობა მილეწ მოლეწილია. დიდი თუ პატარა ამ სოფლისა ყაჩაღივით შევარდება ხოლმე და ნთქავს ხილსა.

წინამძღვრიანთ კარის დამამშვენებელია ცხრა მუხა, რომელთაც თითქოს ხელი ხელს გადაუბამთ და წრე გაუკეთებიათო.

ასეთი წარმტაცი რამ არსად მინახავს. მომაგონდა თამარის დრო, როდესაც ჭანდრების ხეივნებ შორის იმართებოდა ხოლმე მუსიკოსთა, რუსთველთა და მგოსანთაგან შემქვრება გარშემო ნიან თამარისა.

აი ეს ჯგუფი მუხებისა, ეს კავკასიის ბეკი კლასიკური სტილით დამშვენებული დღეს ისე მოუვლელია, რომ მტერიც კი არ იზამდა ამას.

მუხის გამოჩენილი ფესვები სალოდა

ვად სჩივიან ი. წინამძღვრიშვილის ნაცვლად.

გულ დათუთქული ვიჯექი სკოლის ეზოში და ვსწუხდი, რომ წყარო განათლებისა, რომელიც ილია წინამძღვრიშვილმა ამოაჩუხჩუხა, ასე ივსებოდა ქვითა და ღორღითა.

ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი გლეხი და ჩემი საყვედურის შემდეგ, თუ რატომ ასე უდიერად ეკიდებოდნენ სასწავლებელს და მის კარ მიდამოს, მან მითხრა: ნეტავი ვინ მოგვცა ქართველობას ეს ტურფა, მდიდარი მთა-გორიანი ადგილი. რადა გაუნათლებელ, ბნელს ქართველობას მისცეს სამოსახლოდ და სამშობლოდ ეს უმშვენიერესი მიწა-წყალი. განა ქართველობაზე შეგნებული და ღირსეული ვერა ჰნახეს?

მე საშინლად გამაოგნა და მწარედ ამაკვნესა გლეხის სიტყვამ.

მე იგი შემეზიზღა, ფურთხის ღირსად მეჩვენა, მაგრამ იმავე დროს მე მომინდა დამეჩოქნა მის წინაშე და მეთხოვნა მოტევება, რომ ასე უყურადღებოდ გვყავდა გლეხობა მიტოვებული.

ვინ მოგვცა ჩვენ უღირსებს ასეთი ტურფა სამშობლო—რა მწარეა ამის მოსმენა.

ვინ მოგვცა—ჰკითხულობს გლეხი და განა ჩვენ როდისმე აუხსენით, ვასწავლეთ ჩვენი ვინაობა და ისტორია? განა როდისმე ჩავაგონეთ, რომ ეს სასწავლებელიც კი, რომელიც მათს სოფელშია სწორეთ გლეხებისთვისაა უფრო სასარგებლო და უძვირფასი? ჩვენ მივიწყებული გვქონდა ეს მხარე და ამიტომაცაა გლეხობა ასე ბეჩავი.

რომელ გერმანელს ჯარისკაცსაც არ უნდა შეხვდეთ—თვითეული მათგანი გამსჭვალულია იმ აზრით, რომ გერმანიის ხალხი, ეს რჩეული ხალხია, რომ დედამიწაზე იგინი პირველნი არიან, რომ იგინი ყველასა სჯობნიდნენ, სჯობნიან და აჯობებენ კიდეც. მათი დანიშნულებაა იყვნენ პირველნი კაცობრიობაში. „დოიტჩე უბერ ალეს“ (გერმანია პირველათ ყოვლისა)—აი რა გესმის ყოველი გერმანელისაგან.

ამ აზრით გამედიდურებულნი მიდიან იგინი და იპყრობენ ახალ-ახალ სახელმწიფოებს... ქვეყნიერებას ანცვიფრებენ ესოდენი ზღაპრული შესაძლებლობით.

აქ კი კუთხეს საქართველოში მოსახლეობს ხალხი, რომელიც ჰკვირობს: ვინ მოგვცა ასეთი ტურფა სამშობლო ე უხეირო, ბნელ ხალხსა... ვინ გაიმეტა, ვინა?..

დ. ოურდოსპირელი.
(შემდეგი იქნება)

## სააღ.-მამულო რეფორმა

**სართიჭალის რაიონი.** ამ რაიონის დასავლეთ ნაწილში მუშაობა მოათავა მიმღებმა კომისიამ; დარჩენილი იყო თათრების სოფელი მუღანლო, სადაც რეფორმის გატარება საშიშ და სახიფათოს წარმოადგენდა; მაგრამ გადავწყვიტეთ, რათაც უნდა დაგვჯდომოდა მიწის რეფორმა თათრების სხვა სოფლების სამაგალითოდ მუღანლოში უსათუოდ გაგვეტარებინა.

ღამე იყო, რომ ამ სოფელზე მოგვიხდა ჩამოვლა უჯარმიდან. ცოტა არ იყოს გულში შიში გვქონდა, რადგანაც ამ სოფლის თათრებს სამი დღის წინათ გომბორელი ერთი ფუნგუნი ოთხი კაცით და ცხენებით გზიდან მოეტაცნათ და აღარავინ იცოდა მათი ასავალ-დასავალი.

ჩვენს გარშემო სოფელში აჩრდილებივით გამოჩნდნენ მზვერავები, რომლებიც ჩვენ მოვიხმეთ და სოფლის კომისარის დასაძახებლათ გავგზავნეთ. ჩქარა გამოჩნდა შეიარაღებული კომისარი და მასთან ერთად რამოდენიმე შეიარაღებულნი პირნი. ჩვენ მათ გამოუცხადეთ, რომ ხვალ თქვენს სოფელში მოვალთ მიმღები კომისია მიწების მისაღებათ და გვეღოდეთ; თადო ჩოლოყაშვილის მიწებს, რომელიც თქვენი სოფლის მიჯნებშია მოქცეული, თქვენ ჩაგაბარებთ, ხოლო თქვენს მდიდარ მემამულეებს ბაირამ ნური ოღლის და აჯი ნავრუზ ოღლისაც უნდა ჩამოვართვათ ზედ-მეტი მიწები და თქვენ გადმოგცეთ.

ამ განცხადებამ გაახარა შეიარაღებულები, რომლებმაც გამოგვეცალეს და გზა გამოგვითავისუფლეს. ჩვენ კი ნუ დაგვაპირდაპირებთ ჩვენ მდიდარ მემამულეებს და თუ თქვენ კანონის ძალით ჩამოართმევთ და ჩვენც დაგვიხმარებთ, დაგეხმარებითო.

მეორე დღეს ბაირამ ნური ოღლის შეიარაღებული ძმისწულები დაგვიხვდნენ სოფლის პირას და მათი გამხეცებული სახეები გვაგრძნობინებდა, რომ ეს ხალხი კარგს არას გვიქადდა. შევედით სოფელში, სადაც მთლათ შეიარაღებული სოფელი დაგვხვდა; დიდსა და პატარას, ყველას ვინტოვკა ეჭირა ხელში. ჩვენ აუხსენით ხალხს ჩვენი მისვლის მიზანი და გავაცანით მიწის რეფორმა. ხალხი ყურადღებით გვისმენდა.

ბაირამ ნური ოღლი და მისი ნათესავები ცდილობდნენ, მაგრამ ისინი შეიარაღებულმა ხალხმა დაამშვიდა; ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და ქართულ კანონებს ყველანი უნდა დავემორჩილოთო, ეუბნებოდა ხალხი.

ერთ კვირამდე ვიმუშავეთ ამ სოფელში და ხალხის დახმარებით ჩამოვართვით ორივე თათარ მემამულეებს ზედმეტი მიწები და სოფლის ამორჩეულებს გადავეცით. სოფელი ძალიან კმაყოფილია და მადლიერი დაგვრჩა და წამოსვლისას აღგვითქვეს, რომ საქართველოს მთავრობას ყველაფერში დავეხმარებით და დავემორჩილებითო.

აქ მივიღეთ 790 დეს. 1140 საჟ.

აქედან წავედით თადო ჩოლოყაშვილის მამულების ჩამოსართმევათ ყარაბულახში ხაშმის ახლო.

თადო ჩოლოყაშვილის სასახლე კოშკი წარმოადგენს ტიპიურ ფეოდალურ შენობას, რომელიც იორის ნაპირიდან ამაყად დაჰცქერის იორის ხეობას და რომლის ბატონ-პატრონიც თადოს წინაპარნი ყოფილან. დიდ ბეჭს კარებში თვით თადო ჩოლოყაშვილი გამოგვეგება, რომელიც ჩვენი დროის ტიპიურივე თავადიშვილი აღმოჩნდა.

მთელ გარე-კახეთში თადო ჩოლოყაშვილია ყველა-ზე დიდი ადგილ-მამულის პატრონი; მას სხვადასხვა ადგილებში ჩამოვართვით მამულები, მხოლოდ თვით ყარაბულახ-ხაშმში—178 დეს. 2290 საჟ. მასვე ჩამოვართვით აგარაკ პალდოში 2043 დეს. მამული ხაშმში იოანე ნათლისმცემლის მონასტერს ჩამოვართვით 8 დეს. 530 საჟ. გორანაში 1823 დეს. 613 საჟ.

საგარეჯოში მივიღეთ ლევან და სოლომონ გულისაშვილების 64 დეს. 1930 საჟ. სუსანა თუმანიანცის 115 დეს. 1720 საჟ. და ტყე ქერდოვანიძეებისა, ჯაბადრებისა, ქალიძეებისა და სხვა სულ 1456 დეს. 1770 საჟ.

გარეთ კახეთის სოფლები ნდობით ეპყრობიან მთავრობას და მისგან გამოგზავნილ მიმღებ კომისიასაც დიდის სიამოვნებით უხვდებიან; აქ ღრმათა სწამს ყველას, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა მათ ინტერესებს ყოველნაირათ დააკმაყოფილებს და მიწაც მათ ხელში დარჩება.

ი. ი—შვილი.

## თფ. მილიციონერთა შორის

15 ივლისს მოხდა მე-7 უბნის მილიციონერთა კრება. დღიურ წესრიგში იყო განსახილველი შემდეგი კითხვები: ამორჩევა ახალი საამხანაგო სასამართლოსი და საერთოდ მილიციონერთა ყოფა-ქცევის შესახებ. ამხანაგურ სასამართლოში არჩეულ იქნენ: ამხ. ჩიქოვანი, მარჯანიშვილი, დოლიძე, ბერაძე და ბანცაძე. მათ კანდიდატებათ: ჩიქოვანი და ანდრიაზოვი. შემდეგ მოხსენებას აკეთებს მილიციონერთა ლოთობის შესახებ ამხ. ჯიბლაძე, მას მოჰყავს მაგალითები, რომ ბევრი მილიციონერთაგანი, იმის მაგიერ, რომ წესიერებას იცავდეს ხშირათ მთვრალია. რასაკვირველია ასეთი მილიციონერი არა თუ წესიერებას დაიცავს, არამედ თვითონვე დაარღვევს. ასეთი საქციელი, ამბობს მომხსენებელი, მთელ მილიციას სახელს უტეხს და ამიტომაც მოქალაქენი სრულიად სამართლიანად უკმაყოფილონი არიან. ამის წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა მივიღოთო. კრება იზიარებს ამხ. ჯიბლაძის მოხსენებას და ადგენს: ის მილიციონერები, რომლებიც იქნებიან წესიერების დარღვევასა, ლოთობასა და ცუდ საქციელში შემჩნეული, დაუყონებლივ დათხოვნილ იქნან სამსახურიდან და გადაეცენ პროფესიონალურ კავშირს გასამართლებლათ. მერე ამხ. მარჯანიშვილი შეეხო ზოგ მილიციონერთა უმართებულო მოპყრობას მოქალაქეებისადმი. ის ამბობს, რომ ზოგიერთი მილიციონერები მეტად ცუდათ ეპყრობიან მოქალაქეებს. დაჭერის დროს ისინი არ აქცევენ ყურადღებას მოქალაქე მართალი არის თუ მტყუანი, და არის მაგალითები, რომ მათ ქუჩაში სცემენ კიდეც. ასეთი საქციელი სამარცხვინო არის მილიციისათვის. კრებას გამოაქვს დადგენილება: ის პირებიც, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ასეთ ცუდ საქციელზე, დათხოვნილ იქნენ სამსახურიდგან.

თავმჯდომარე გ. ჯიბლაძე.
მდივანი შ. ბახტაძე.

## ს.-დემ. პარტიაში

**ს. კულაში.** 11 ივლისს მოხდა პარტიული საზოგადო კრება. გასარჩევი იყო გვარდიაში ჩაწერა და კომისრის კანდიდატის არჩევა. კრების გახსნისას თავმჯდომარემ მოკლეთ გააცნო ჩვენი დიდი მასწავლებლის გ. ვ. პლეხანოვის მოღვაწეობა, რომლის ხსოვნასაც კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. პირველი კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა დ. ახობაძემ. ყველანი პრინციპიალურათ მომხრე იყვნენ გვარდიაში ჩაწერისა გარდა ორიოდ პირისა, რომლებიც პირად ცხოვრებას უფრო უწევდნენ ანგარიშს. ამ კრებაზე ჩაეწერა ოცი კაცი, რომლებიდან უმრავლესობა მოხუცებია. შემდეგ ერთხმათ იქნა არჩეული კომისრის კანდიდატათ დ. თადუმაძე, რომელიც უნდა დაამტკიცოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

—ისტი.

**ოზურგეთი.** გურიის ყველა რაიონული ორგანიზაციების საყურადღებოდ: კვირას, 21 ივლისს დღის 12 საათზე ოზურგეთში დანიშნულია ს. დ. მ. პ. გურიის ცენტრალური კომიტეტის კრება. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) სამაზრო ერობის არჩევნები; 2) საადგილმამულო რეფორმა; 3) ანარქიასთან ბრძოლა; 4) პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები. ამასთან სავალდებულოა ყველა რაიონის წარმომადგენლებმა თან წამოიღონ წერილობითი ცნობა: 1) პარტიის წევრთა რიცხვი და 2) პარტიული კასის სრული ანგარიში.

## მუშათა შორის

**საღ. ავჭალა.** ბევრი რკინის გზის მოსამსახურეები შტატს გარეშე დარჩა. და არც შეიძლებოდა ასე არ მომხდარიყო, რადგანაც საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის შემოსავალი არ აღემატებოდა 50—60 ათას მანეთს, გასავალი უდრიდა 500—600 ათას მანეთს. ნახევარ მილიონ ზედმეტს ზარალობდა რკინის გზა ყოველ დღიურათ, ამისათვის თავის თავათ ცხადია, მოსამსახურეების შტატი მინიმუმამდე უნდა დაყვანილიყო, რაც უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი, მაგრამ ზოგიერთი მოსამსახურეები სულ სხვანაირათ ხსნიან თავისი შტატის გარეშე დატოვებას. ერთი ამბობს: კომისიის წევრს ჩემი ინტერესი ჰქონდა და დამითხოვესო, მეორე და მესამეც ამისთანეებს იმეორებს. ეს გაუგებრობანი უნდა გაფანტულ იქნას ოცი ივლისის კომისიაზე. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ბევრი დათხოვნილი ქართველი მოსამსახურენი ისევ მიღებულ იქნებიან სამსახურში. ამიტომ საჭიროა პროფესიონალურ კავშირში შესვლა.

კან-ხაწი.

## პროვინცია

**ს. ონოღია** (სამეგრელო). 7 ივლისს, 1918 წ. ს. ონოღიაში გადიხადეს დღესასწაული, მაგრამ საუბედუროდ დატრიალდა საშინელი ამბავი. ამავე დღის საღამოს ჩხუბის, არევ-დარევის და რევოლვერების სროლის დროს ერთი მილიციონერის თოფიდან გამოსროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა უწყინარი და სრულიად პატიოსანი ადამიანი ნესტ. დანელია, მძიმეთ დაიჭრა ადგ. კომისარი დ. დანელია და სხვა რამოდენიმე პირი. ამას ყურადღება მიაქცია მაზრის კომისარმა და გასცა განკარგულება, რათა საქმე სასტიკად იქნას გამოძიებული.

საკვირველი ის არის, რომ ხალხმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეობის გადავარდნას. როდესაც დაუწყებთ ამ თემაზე ბაასს, გიპასუხებენ: „არა, ამხანაგო, წელიწადში ერთი დღე გვაქვს, რომელზედაც ჩვენ მოკეთეებთან ერთად დროება უნდა გავატაროთო“. იმას კი არ აქცევენ ყურადღებას, თუ რა აუარებელი ხარჯები მოჰყვება ამას და რამდენი. 7 ივლისისთანა სურათები გადმოგვეშლება ხოლმე თვალწინ. ამ დღეს, მგონი ყველა დარწმუნდა, რომ „დღესასწაულის“ გამართვა არის ქეიფ-თაყვანის ცემა და არავითარ სიამოვნებას და კულტურულ გართობას აქ ალაგი არა აქვს. ამიტომ ყოველგვარი ძველი მაზარალებელი ჩვეულება უნდა უკუგდებულ იქნას და ადგილი დაეთმოს ახალ კულტურულ ცხოვრებას და გასართობებს. მეტადრე მაშინ, როდესაც რევოლიუციის და დემოკრატიზმის სხივები ჯერ კიდევ უხვად გვეფინება.

პ. ონოღიელი.

**სართიჭალა** (თფ. მაზრა) ეს რაიონი შესდგება 37 სოფლიდან 17 საარჩევნო საზოგადოებით და ქ. ტფილისს დაშორებულია 55 ვერსის სიშორეზე შიგნით-კახეთის საზღვრამდის. ეს რაიონი ბევრი ეროვნებით არის დასახლებული. მათში მუდამ ძმური განწყობილება იყო. საზოგადოთ ეს რაიონი მოწინავე რაიონათ ითვლებოდა თფილისის მაზრაში და დემოკრატიული და რევოლიუციური შემოქმედების უნარს იჩენდა. მაგრამ როცა „სახლში წასვლის პარტია“ მოევლინა ამ რაიონს „ბოლშევიკების“ სახით აიშლერა აქაურობა და ერთი მეორის უნდობლობა და გაუტანლობა დაითესა. უმთავრესათ ორი საზოგადოება—მარტყოფის და ნორიოსი დიდათ გაველურდა. მაგალითად, ნორიოში 13 ივლისს ძმამ ძმა მოჰკლა, მარტყოფში მეზობელმა მეზობელი სიცოცხლეს გამოასალმა, და როცა მკვლელი კომისარმა დააპატიმრა და გამოძიება უნდა მოეხდინა, აღარ დააცალა და შეიარაღებულმა ბრბომ გამოუძიებლივ სატუსაღოშივე დახვრიტა და როცა სოფლის კომისარმა ხალხს წესრიგისკენ მოუწოდა, ბრბომ კანალამ ისიც ზედ მიაყოლა. კომისარი, რომელიც ხალხის დიდი უმრავლესობის ნდობით იყო აღჭურვილი, ვერ შეურიგდა ასეთ მოქმედებას და გადადგა. ასეთი დიდი საზოგადოება, სადაც 12 ათასი მცხოვრებია, რამდენიმე არა წმინდის წყალობით ანარქიის კარზეა მიმდგარი. კვირას, 14 ივლისს, ამ რაიონში ერობის არჩევნები იყო დანიშნული, მაგრამ ზოგიერთა ორგულის წყალობით არჩევანი მეორე კვირისთვის ე. ი. 21 ივლისისთვის გადაიდო. ხალხის დიდი ნაწილი ერობას თანაგრძნობით ხვდება და დიდი იმედიც აქვთ მისი, როგორც თვითმმართველობასა, რომელიც შინაურ და სასოფლო საქმეებს კარგათ მოაგვარებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ არჩევანი უხერხულ დროს დაიწყო: პურის მკაა და დიდი და პატარა ყველა ამ მკას ეშურება, რომ მომავალშიც მშიერი არ დარჩეს. კრებაზე კი უფრო უსაქმურები და ხელის შემშლელნი ესწრებიან, ხშირად ღვინით გალეშილნი.

პურის ნაკლებობა ჯერ კიდევ დიდია, თითო პური ხშირად 10 მ. ფასობს. ზოგიერთა ალაგებში პურის ახალი მოსავალიც ნაკლები იქნება, მიწის მუშაობას ხალხი ერთგულად ეკიდება. მომავალში, დარწმუნებული ვარ, მიწა დაუხნელ-დაუთესელი არ დარჩება. აქ სახალხო გვარდიის წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან ჰქრება, როცა უხსნიან ხალხს, რომ გვარდია ეხმარება ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომ მიწები გლეხებს გადაეცეს.

საბედნიეროდ ხალხი თანდათან ერკვევა და დიდი იმედი აქვთ, რომ ცხოვრება მალე წესიერ კალაპოტში ჩადგება. ზოგიერთ ალაგებში ს. დ. და ს.-ფ. ერთი სიით გამოსვლამ უკმაყოფილება დაჰბადა, მაგრამ ახსნა-განმარტების შემდეგ—უკმაყოფილება გაჰქრა. საჭიროა მუდმივი მუშაკები სოფლად, რომ ორგანიზაციები რიგზე მოეწყოს და მით ლაგამი ამოედოს მოღალატე ნაძირალებს, თორემ ეხლა საბჭოებიც ბევრ ალაგას დაშლილა, რაც ხელს უწყობს არევ-დარევას და ხალხის შეცდომაში შეყვანას. საჭიროა სოფლის მოწინავე ამხანაგებმა გულმოდგინეთ მოჰკიდონ ხელი ორგანიზაციების მოწყობას, რომ შესძლონ ყოველი გაუგებრობის და პროვოკაციის აღმოფხვრას.

დ. ი. ლორთქიფანიძე.

**სოფ. საძარა** (იმერეთი). ჩვენი სოფელი იმედოვნებს, რომ მთავრობა როცა ანარქიას ჩააქრობს, შეუდგება დადებითი სამშენებლო მუშაობას. მიწის საკითხი თუ სხვაგან დიდ როლს თამაშობს, აქ უკანასკნელ ყურადღებასაც არ იპყრობს, რადგანაც ჩამოსართმევი მიწები თითქმის არავის აქვს. თუ რამე ითქმის მიწის შესახებ, ეს ის, რომ გლეხები ვერ შეურიგდებიან მიწებზე კერძო საკუთრების და ყიდვა-გაყიდვის უფლებების მოსპობას. ჩვენს სოფელსაც ჰყავს ხორცმეტი ელემენტები. მიუხედავათ იმისა, რომ მძარცველთა ბრბო „ბოლშევიზმის სახით მოვლინებული, გულის წყრომას იწვევს ადგილობრივ მცხოვრებლებში. მაინც მოიძებნებიან აქა-იქ ისეთები, რომელიც ამ „ბანდას“ თანაუგრძნობს. მათი პიროვნების და ვინაობის გაგება აშკარად ჰყოფს, როგორი ცხოვრების ნაძირალებიდან შესდგებიან ეს „სოციალისტები“. კარგი იქნება მათ ადვირ-წახსნილ ლაპარაკს ყურადღებას მიაქცევდეს, ვისაც ჯერ არს. ეს სამწუხარო მოვლენები დაჟინებით მოითხოვენ, მინამ გვიან არაა, ინტელიგენტურ და ყოველგვარ იდეურ ძალების ამუშავებას.

ახლად გაწესებული გადასახადი შეძლების დაგვარათ შემოაქვთ გლეხებს. მათი მოთხოვნაა: ჩვენ გადავიხდით, ხოლო გარჩევა არავისი იყოს, ყველამ გადიხადოსო, ფრიად კანონიერია და ცხოვრებაშიაც ასე გატარდება. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მცირე გამონაკლისით, უკვე ჩააბარა იარაღი მთავრობას, მაგრამ, სამწუხაროთ, ირგვლივ სოფლები ჯერ არას ფიქრობენ. პირიქით, ბოროტმოქმედებას და მკვლელობასაც სჩადიან, რაც მეტათ აღიზიანებს ადგილობრივ მცხოვრებლებს. ქვედა საქარაში შედარებით ბევრს არ ჩაუბარებია იარაღი და კვლავ განაგრძობენ უთავბოლო სროლას.

ამას წინათ ვიღაცამ მოჰკლა ბიჭ. არაბიძე, როგორც ეტყობა, კერძო ინტერესით. ხსენებული გლეხი მშვიდობიანი მუშა იყო. ეჭვით დააპატიმრეს რამოდენიმე პირი. 13 ივნისს სოფ. მთაციხეში მთლათ ამოუწყვეტიათ კოწია ჟღენტის ოჯახი. რა ნიადაგზეა ჩადენილი ეს ბოროტმოქმედება, არავინ იცის. თუ ხმებს დავუჯერებთ, იქაც ბრბოს მოქმედებას ჰქონია ადგილი. სოფ. საქარის და ყვირილის გვარდიელები უკვე გაემგზავრენ წესიერების აღსადგენათ.

სურსათის სიძვირემ ყოველივე ზომიერებას გადააჭარბა. ფუთი სიმინდის ფქვილი თორმეტ თოთხმეტ თუმნათ ფასობს. საჭიროა ამას საზღვარი დაედოს.

მეტადრე გამწვავა საკითხი ლტოლვილებმა, რომელნიც სოფელ-სოფელ დაძრწიან.

ყველა ამ სამწუხარო მოვლენებს ძლიერი, მაგარი ადმინისტრაციის ხელი უნდა, რასაც ასე მოუთმენლათ ელის გლეხობა. „ძალა გამოიჩინეთ“, აი გლეხების სულისკვეთება.

ყაჩაღ ბრბოებთან ბრძოლაში დიდ ენერგიას იჩენენ ჩვენი კომისრები და გვარდიელები.

საქარელი მ.

## ცნობები

ჯარის კაცი ივანე იაგორისძე სურგულაძე მსახურობდა 2 ქართულ მსროლელ პოლკში 2 როტაში ზეკარის უღელტეხილში 18 ივანობისთვის ამბოხებულ თათრების და ჩეტენიკების შეტაკების დროს დაიკარგა უგზო უკვლოთ. ვსთხოვთ თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართი: ოზურგეთი, ყაისარ სურგულაძეს.


## დავკარგე

იარაღის (რევოლვერი) ნებართვა ქალაქის მუშათა საბჭოდან მოცემული № 87727,—თავისუფლების მოწმობა, (სამხედრო სამსახურიდან) და ფული 1250 მანეთი.

მპოვნელს ვთხოვ მაცნობოს გაზეთის საშუალებით.

პატივისცემით ლევანტი გიორგისძე მგალობლიშვილი

ამით ვაცხადებ, რომ **პასპორტი** № 7838, რომელიც დავკარგე 1 მკათათვეს 1918 წ. ჩაითვლება გაუქმებულათ. სოფელ კარბის მცხოვრები დიმიტრი ბესარიონისძე გნოლიძე.

**დაიკარგა** 4 თურქესტანის მსროლელ დივიზიის 1-ლი ლაზარეთის ღერბის ბეჭედი („კაუჩუკის“) ვსთხოვთ ყველა დაწესებულებას, რომლებიც აწვდის სამხედრო ნაწილებს სურსათს და სხვ. არ დააკმაყოფილონ ამ ბეჭედ დასმული მოთხოვნილებანი, თუ ის არ იქნება შემოწმებული დივიზიის უფროსისაგან.

ბეჭედის მნახველს კი ვსთხოვთ დაგვიბრუნოს ის უკან, რაზედაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს. ადრესი: მალაკანის ქ. № 52. უფროსი ექიმი ეფრემოვი. (2—2)

## იყიდება

„ნემეცური“ ძროხა; სად. 6 ტანები ს. ახალსაყდარი იკითხეთ დიმიტრი გუჯაბიძე. (3—2)

## კერძო მიხეილის სამკურნალო

მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167.

ხამკურნალო კაბინეთი
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმ რო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგანი, [illegible] და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ დღე, [illegible] 12—2 საათ. საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. ქედიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაჟთის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექ. ქალი რ. ზ. შიუკო-ხაბაშვილისა**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დახმარებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამის შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის
## ექიმ დონხინისა.
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილ. 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.


## ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილება

ქ. თფილისში მიცვალებულთა და დაბადებულთა შესახებ ცნობების მიწოდებაზე

სახლის პატრონები ვალდებულნი არიან აცნობონ ქალაქის გამგეობის მედიკო სანიტარულ ბიუროს მათ სახლში მიცვალებულთა და დაბადებულთა შესახებ, ორი დღის განმავლობაში. ცნობები უნდა დაიწეროს სპეციალურათ საამისოთ გამომუშავებულ ბარათებზე, რომელთა მიღება შეიძლება მედიკურ სანიტარულ ბიუროში და საუბნო კომისარიატში. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებს, პასუხისგებაში იქნება მიცემული მე 29 მუხლის ძალით. სახლის კომიტეტებმა თვალყური უნდა ადევნონ სახლის პატრონებს, რომ ეს დადგენილება აასრულონ.

სახლის პატრონების მაგიერ ცნობების მოწოდება შეუძლიათ აგრეთვე სახლის გამგეებს, მოიჯარადრებს და სახლის კომიტეტებს. (2—2)


## განცხადება
## „ქართული საავტომობილო და სააქციონერო საზოგადოება“.

ეს საზოგადოება შესდგა 1918 წ. ქ. ქუთაისში.

მისი მიზან-დანიშნულებაა, მოაწყოს სრულიად საქართველოს იმ კუთხე-მხარეებში, სადაც რკინის გზები და ავტომობილები არ არის საბარგო და სამგზავრო ავტომობილების მიმოსვლა, რათა მძიმე აუტანელ მდგომარეობიდან იხსნას ხალხი. საზოგადოების ძირითადი თანხა ამ ჟამად 300,000 მანეთამდე აღწევს. საზოგადოებამ თავის წესდების თანახმად გამოსცა ყველასათვის ხელმისაწვდომი 500—500 მანეთიანი აქციები და მსურველს მისი ყიდვა-შეძენა შეუძლია საზოგადოების თავმჯდომარესთან დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძესთან თავის საკუთარ მექანიკურ ქარხანაში, ანდრეევის ქუჩაზე № 65 თფილისში. აგრეთვე იქვე საზოგადოების ხაზინადარ-მოლარესთან მალაქია გლახუას ძე ნატბელაძესთან. საზოგადოების უმთავრესი დამაარსებელნი: დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძე, მალაქია გლახუას ძე ნატბელაძე, იაკინთე გიორგის ძე ჯებაშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე ქარსიძე, გენადი გიორგის ძე ალავიძე და ვლადიმერ მალაქიას ძე ჯაფარიძე. (3—3)


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის ვრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.